

1907 წ.

8 იანვარი

ახალი დროება

ორშაბათი

№ 9

ყოველკვირეული გაზეთი

№ 9

რედაქციის ადრესი:

თბილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. № 102.
რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე.
კანტორა ხელის-მომწერთათვის ღია ყოველ დღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.
განცხადების ფასი: 1-ლ ვერცხვ პეტრით—15 კაპ., უცანსკელ ვერცხვ—10 კაპ.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. პროფესიონალური კავშირები და საარჩევნო კამპანია. 2. პროფესიონალური მოძრაობა 1906 წელს. 3. ფელეტონი: ლექსი—ბაზარზე. 4. „შე, საძაგლო!“. 5. პროფესიონალური კავშირები და მუშათა მოძრაობა, ტფილისი. 6. კავკასია. 7. რუსეთი. 8. სტატისტიკა. 9. კავშირები. 10. რედქციისგან. 11 ღია წერილი „ზარის“ რედაქციას. 12. სიტყვების ახსნა. 13. ანგარიში „ახ. დროების“ და 14. დახმარება.

რ ე ლ ა მ ე ტ ი ი ს ა გ ა ნ .

ამ ნომრისათვის დამზადებული ფელეტონი—ანარხიზმი თუ სოციალიზმი გადიადო...

პროფესიონალური კავშირები და საარჩევნო კამპანია *).

კარებიდან გაუძახე, ის ფანჯრიდან შემოფრინდება... როდესაც საშხედრო-საეცელ მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს აღმოფხვრას დედა-მიწის ზურგიდან „პოლიტიკა“—კითხვა ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლებისა, —როდესაც ის ერეცება იატაკ-ქვეშ პოლიტიკურ პარტიებს, მაშინ „პოლიტიკა“ ძვრება, როგორც ქარი, მკიდროთ დახშულ შენობის ყველა ხერხელეში და ქვირტიმელეში, ისეთ ორგანიზაციებში, რომელთა მიზანი პოლიტიკა სრულიად არ ყოფილა. პროფესიონალური კავშირების მიზანი ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობაა. მაგრამ, რამდენადაც მთავრობა მეტად ხუთავს და ავიწროვებს პოლიტიკურ პარტიებს მუშა კლასისას, იმდენად მეტად და მეტად იელენება „პოლიტიკით“ პროლეტარიატის ეკონომიური ორგანიზაციები. ბრძოლა თავისუფლებისათვის არ აჩის ხელმძღვანელების „სიჯიუტე“ (не капризъ вожаконъ); ეს უსაქიროესი მოთხოვნილება მთელი მუშათა მოძრაობის. ამისათვის ეს მოთხოვნილება ეძებს და პოულობს დაკმაყოფილებას ყველგან: სადაც შესძლებს.

ყოველკვირეული გაზეთი „ახალი დროება“.

14200

გამოვა ორშაბათობით.

გაზეთის ფასი ხელის-მომწერთათვის:

თბილისში:	ერთი წლით	5 მანეთი,
„	ნახევარი წლით	2 „ 50 კაპ.
„	სამი თვით	1 „ 25 „
„	ერთი თვით	— 40 „
თბილისის გარეთ:		
„	წლით	6 მან.
„	ნახევარი წლით	3 „
„	სამი თვით	1 „ 50 კაპ.
„	ერთი თვით	— 50 „
საზღვარ გარეთ:		
„	ერთი წლით	8 მან.
„	ნახევარი წლით	4 „
„	სამი თვით	2 „
„	ერთი თვით	— 80 კაპ.

ცალკე ნომერი დირს ორი შუარი.

მიიღება ხელის მოწერა პროუნიციებში, შემდეგ ბირებთან:

- ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძესთან.
- ბათუმში—მიხაკო კალანდაძესთან.
- ბაქოში—პავლე ჯალალანისთან.
- ხონში—წიგნის მალაზია „რუსთაველში“
- ფოთში—ლავრენტი ტულუშთან.
- ხაშურში—ლიზა ნეკაშვილთან, საკუთარ სახლებში.
- ჩოხატაურში—კოტე მახარაძესთან.
- გორში—არჩვიძის წიგნის მახაზიაში.
- ოზურგეთში—წიგნის მალ. „იმედ“ ში.
- ლანჩხუთში—შალიკო ცინცაძის წიგნის მალაზიაში.
- ჭიათურაში—ვლადიმერ მოსევილთან.

თბილისში—1. წ. მალაზ. „ცოდნა“, სოსიკო მერკვი-ლიძესთან. 2. სასტუმრო „იალტაში“, ვასილ კერესელიძესთან, 3. გოლოვინსკი პროსპექტზე—წიგნ. მალ „ნოვაია რეჩ“ ში. 4. მიხაილოვის ქუჩაზე—წიგნ. მალაზ. „ობრაზოვანიე“ ში. 5. კიროვნი ქუჩაზე—ვასილ გალილიას წიგნის მალაზიაში.

პროფესიონალური კავშირები თამაშობენ და ითამაშებენ პირველ როლს მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ისინი ითამაშებენ ამ როლს მომავალ საარჩევნო კამპანიაშიაც და, რამდენადაც შევიწროვებულია თავის მოქმედებაში ს. დ. პარტია მუშათა კლასისა, იმდენათ დიდძლიშვენელოვანად და პასუხისმგებლად ხდება პროფესიონალური კავშირების მდგომარეობა.

ადილი მისახვედრია, რომ განმათავისუფლებელ ბრძოლაში პროლეტარს, წვევს პროფესიონალური კავშირისას—არ შეუძლია დაისახოს სხვა მიზნები, გარდა იმათისა, რომლებიც სდგანან მთელი მუშების წინ. სულ ერთია, სადაც უნდა მუშაობდეს ის: ფაბრიკაში, ზავოდში, სახელოსნოში, რკინის გზაზე, თუ გინდ მემამულის მიწაზე. — აცვია მას პიჯაკი, პალტო, თუ ძინძებშია გახვეული, — ინტერესები დაქირავებული შრომისა ყოველგან ერთგვარია ამისათვის ყველა მუშები, ყველა კაპიტალისაგან დამონებულ-დაქირავებულნი, დაინტერესებულნი არიან მასში, რომ მოიპოვონ, რაც შეიძლება, მეტი პოლიტიკური თავისუფლება და შეერთდენ ერთ საკუთარ კლასიურ პარტიათ, თავიანთი სრული სოცია-

*) „На Очереди“ Ф. Дана.

ლორი განმათავისუფლებელ ბრძოლისათვის. მოვალეობა თვი-
თოველი შეგნებული მუშის—ყოველი თავის მოქმედებით აღზარდოს
და გამაგროს პროლეტარიატში კლასიური ერთიანობა და გამსჭვალ-
ლოს მუშებმა კლასიური თანხმობის გრძობით. წინააღმდეგ
ამისა, მთავრობა და ყველა ბურჟუაზიული პარტიები გამო-
უკლებლად—ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ და აწიცი ეწი-
ნააღმდეგებინან ასეთ შეერთებას მუშა ხალხისას. როდესაც
ალარ შეიძლება მუშების შეერთების შეჩერება, მაშინ მთავ-
რობა და ბურჟუაზია ხმარობენ ყოველ ღონეს, რომ დააქუც-
შაყონ ბრძოლა მუშა კლასისა და ამით დაასუსტონ ის. თქვენ
გსურთ იბრძოლოთ თქვენი ინტერესებისათვის? — ეუბნებიან
მუშებს. კარგი, იბრძოლეთ! მაგრამ ქარხნის მუშამ იბრძოლოს
თავის ინტერესებისათვის, სახელისნოს მუშებმა თავისათვის,
ნოკრებმა თავისათვის და სხვა-და-სხვა. . თქვენ რა საქმე
გაქვთ ერთმანეთთან?

ამ გვარად, სხვა-და-სხვაგვარი პარტიები დრო გამოშვებით
იტყუებენ თავიანთ მხენში სხვა-და-სხვა ხელობის მუშებს იმ
დაპირებით, რომ მათ წარმომადგენლებს გაიყვანენ სათათბო-
როში: ნოკრს, რკინის-გზის მოხელეს, ქარხნების და სახე-
ლოსნოების მუშებს... პროფესიონალური კავშირები არ უნ-
და წამოეგონ ასეთ შხამით მოწამულ ანკესებზე. იმათ უნდა
ახსოვდეთ, რომ მხოლოდ საყოველთაო, სრულიად რუსეთის
გაფიცვებმა, მხოლოდ საყოველთაო გაერთიანებულმა ბრძო-
ლამ მთელი პროფესიის მუშებისამ წარმოშობა ქვეყანაზე
პროფესიონალური ორგანიზაციები და მით მისცა საშუალება
თვითოველ პროფესიას, დაიცვას თავისი ინტერესები. მთელ
მომავალ ბრძოლაში, თვითონ დუმაშიც ძალა და ზნიშვნე-
ლობა მუშათა წარმომადგენლობისა იქნება დამოკიდებული
არა იმისაგან, რომელი პროფესია რომელ დეპუტატს წარა-
დგენს, არამედ იმისგან, იქნებიან თუ არა ეს დეპუტატები
გამომხატველნი მთელი პროლეტარიატის გაერთიანებული სუ-
რვილებისა. მუშათა დეპუტატების საბჭოები იყვენ ძლიერნი
არა იმიტომ, რომ თვითოველი პროფესია იყო იქ წარდგენი-
ლი, არამედ იმიტომ, რომ იმათი სახით ყველა პროფესიები
შევრთდნენ და ერთი მოსაზრების და ერთი სურვილის განმა-
ხორციელებელნი შეიქმნენ. დაარღვიეთ ეს ერთობა—ინტე-
რესებიც თვითოველი პროფესიისა ცალკე დაიხაგრება, ყველა
ისინი ძლიერ იქნება თითო-თითო მტრისაგან. როგორც
წინათაც ვთქვი, ტყუილად არ ცდილობენ ყველა ბურ-
ჟუაზიული პარტიები, მუშების ცალკე პროფესიებთან დაყოფას
საარჩევნო ბრძოლაში. მაგალითად, კადეტები თავიანთ გაზეთის
(Ртуть) და კომიტეტის შემწევობით (Служащих) ტყუილად
როდი აღგენენ ამგვარ რეზოლიუციას: მუშათა კლასის ზოდი-
ტიკური პარტიის გარეშე ეცადონ საარჩევნო შეთანხმებას ზირდაზირ
პროფესიონალურ კავშირებთან. თავისათვის-კი ბურჟუაზიას მი-
ჩნია საჭიროდ და აუცილებლათ პოლიტიკურათ შეერთებულ
პარტიაში მოექცეს. კადეტები — ეს ინჟინრები, ექიმები, ვეკი-
ლები, „ზემცები“ და სხვ. არ ვაპოდიან საარჩევნო ბრძოლაში
კერძო პროფესიის კავშირების დროშის ქვეშ და არ საჭიროე-
ბენ თავის ინტერესების დასაცავათ უსათუოდ ექიმის ან ვე-
ქილის გაყვანას დუმაში. პირიქით, ყველა ეს ბურჟუაზიული
პროფესიები კარგად გრძობენ, რომ, მიუსვდნენ თვითოველი
პროფესიის კერძო ინტერესებისა, ყველა მათთვის უფრო სა-
ჭიროა—გამოვიდნენ არჩევნებში შეერთებულად, პოლიტიკური
პარტიის სახით. ამაში, რასაკვირველია, ბურჟუაზია მართა-
ლია, მაგრამ, რაც მართალია ბურჟუაზიის სხვა-და-სხვა პროფე-

სიისათვის, ას მართალია მუშებისათვისაც. პროლეტარები ეგუდა
პროფესიისა უნდა შეჯგუფდნენ იმ პროგრამის დროშის-ქვეშ, რო-
მელიც გამოხატავს იმათ საზოგადო კლასიურ ინტერესებს. ეს
პროგრამა თავის-თავით, ცხადია, შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ
მელსაც ემსრობიან მთელი ქვეყნის პროლეტარები,—პროგრამა
სოც.-დემოკრატიული.

მაგრამ, ამბობენ: პროფესიონალურ კავშირებს უნდა
ქონდესთ თავიანთი საკუთარი, „პლატფორმა“, რომელზედაც
შეუძლიანთ შეერთდნენ ყველა წევრები პროფესიონალური
კავშირებისა, პარტიის განუჩევლად. რისთვის? განა, ცხადი
არ არის, რომ ასეთი „პლატფორმა“, ყველა წევრების ერ-
თად შეერთების დროს, ჩამოაშორებს მათ მთელ მრავალ
მილიონურ მასას, რომელიც, უეჭველად, დიდი თავის უმ-
რავლესობით თავს მოიყრის ბრძოლის დროს სოციალ-დემო-
კრატიულ დროშის ქვეშ.

როგორ მოიქცევა, ვთქვათ, წევრი პროფესიონალური
კავშირისა,—ლითონის მუშა, თავის ქარხანაში? გასწევს აგი-
ტაციას პროფესიონალურ კავშირში „პროფესიონალური
პლატფორმის“ ნიადაგზე, ქარხანაში-კი მუშათა საერთო ს. დ.
პლატფორმის ნიადაგზე? განა, შესძლებს ერთი და იგივე კაცი
გასწიოს აგიტაცია ერთ და იმავე დროს სხვა-და-სხვა სახით?
ან როგორ იქნება დუმაში პროლეტარიატის მდგომარეობა
„პროფესიონალურ პლატფორმის“ საფუძველზე? ნამდვილ
მნიშვნელობას დეპუტატს აძლევს კავშირი თავის ამრჩევლებ-
თან ერთად. დეპუტატი ვალდებულია წარმოაყენოს სურვილი
ამომრჩევლებისა, ვალდებულია წამოაყენოს თვითონ ის „პლატ-
ფორმა“, რომელსაც ის იცავდა არჩევნებზე. რა იქნება? პრო-
ფესიონალური კავშირების დეპუტატები ისლდომებიან დუმაში
ცალკე მუშათა ს. დ. ჯგუფისა, განსაკუთრებული პროფესიო-
ნალური პარტიის სახით, იმის საჩვენებლად, თუ როგორ ყოფს
პროფესიონალური პლატფორმა მუშათა კლასს? თუ ისინი
დუმაში შეუერთდებიან ს. დ. მ. ფრაქციას? მაგრამ, ამ შემ-
თხვევაში ისინი არ შეასრულებენ თავიანთ დავალებებს ამრ-
ჩევლების წინაშე: იმათ იჩჩვენენ, როგორც მომხრეებს „პრო-
ფესიონალურის“, და არა ს. დ. „პლატფორმისა“. ასეთი
მოქმედება გამოიწვევდა სამართლიან უმკაცროდებებს ამომრ-
ჩეველთა ნაწილისას, რომელიც ბრალს დასდებდა მათ იმაში,
რომ ისინი გამოდიოდნენ არჩევნებზე პირდაპირ-ჩამოყარებული,
არ ამბობდნენ წინდაწინ, რომ პროგრამა მთელი მუშათა კლას-
ისა არის პროგრამა სოციალდემოკრატიული.

ცხადია, „პროფესიონალური პლატფორმის“ მიღების დროს
შეგნებულ მუშებს არ შეუძლიანთ დაახწიონ თავი წინააღმდე-
გობას. მაინც, როგორ უნდა მოიქცე, რომ არ შეიტანო გან-
ხეთქილება პროფესიონალურ კავშირებში და გამოიყენო იმა-
თი ორგანიზაცია მუშათა კლასის საარჩევნო ბრძოლაში? მთე-
ლი ადვისი და მოსკოვის კავშირების დიდმა უმრავლესობამ გა-
დაწყვიტა ეს კითხვა ასე: დაუპირონ მხარი არჩევნების დროს
ს. დ.-ას. ასეც უნდა გადაწყვედეს ეს საკითხი იქ, სადაც ეს,
როგორც ჩვენში ჩვეულებრივად, დიდი უმრავლესობა პრო-
ფესიონალურ კავშირთა წევრებისა ემხრობიან ს. დ. და სა-
დაც, მაშასადამე, ასეთი გადაწყვეტილება არ უქადის შინაურ
განხეთქილებას და კავშირების დარღვევას.

იქ-კი, სადაც ასეთ გადაწყვეტილებას შეუძლია გამოი-
წვიოს განხეთქილება, საჭიროა სხვაგვარად მოქმედება, რა-
დგანაც აუცილებელია მოფრთხილება პროფესიონალური ორ-
განიზაციებისა და მათგანგანგ მისთვის მიცემა მის დასაზღუ-

ლად: თუ დღეს რომელიმე პროფესიონალურ კავშირში საკმაო ნაწილმა წევრებისამ ვერ გაიგო კიდევ თავისი კლასიური ინტერესები მთელი მათი სისრულთი, გაიგებს ის ხვალ, — ამის თავდებია მთელი მდგომარეობა პროლეტარიატისა თანამედროვე საზოგადოებაში. კავშირში ყოფნა დაჩქარებს კლასიურ თვითშეგნებას ამ დანარჩენ მუშებისას, და ამისათვის უხერხულია გაუჭირვებლად განდევნა მათი ორგანიზაციებიდან. ასეთ შემთხვევაში პროფესიონალური კავშირები უნდა აძლევდნენ თავიანთ წევრებს სრულ თავისუფლებას, გასწიონ აგიტაცია იმ პარტიის სასარგებლოდ, რომელიც თითოეულ მათგანს მიაჩნია სასურველად, იმ შემთხვევაში, თუ ეს პარტიები იცავენ ეკონომიურ პროგრამას, რომელსაც აყენებს კავშირი. კავშირების გამგეობანი ვალდებულნი არიან დარჩენ ნეიტრალურად. ეს-კი უნდა გამოიხატებოდეს, მაგალითათ, მასში, რომ მათ უნდა მიიღონ შესანახავად სააგიტაციო ლიტერატურა ყველა პარტიებისა, რომლებზედაც-კი არის მოთხოვნილება, ცოტათ თუ ბევრად, საყურადღებო კავშირის ნაწილისა, და, უკვე თვითოეულ წევრს შეეძლება ხელი შეუწყოს იმ პარტიის ლიტერატურის გავრცელებას, რომელიც მას მოსწონს. ეს-კი ნიშნავს იმას, რომ მოიწვიო სააგიტაციო კრებები; — ამ კრებებს მართაყს კავშირების გამგეობა და მოიწვევს ყველა იმ პარტიის ორატორებს, რომელთა მოსმენა სურთ კავშირის წევრებს. სოციალდემოკრატიას არავითარი საფუძველი არა აქვს, — ემინოდეს სხვა პარტიების წარმომადგენლების ასეთი თავისუფალი მეტოქეობის! პირიქით, სწორედ, ამგვარ აზრთა შეჯახების დროს მუშების წინაშე, ისინი ყველაზე უწინ და ყველაზედ ნათლად დაანახვენ დანარჩენ კავშირის წევრებს, რომ სწორეთ ს. დ. ჰროგანმა, და მხოლოდ ის სასწავლებით გამოხატაჲს მთელი მუშათა კლასის ინტერესებს. აი, სწორედ იქ, იმათთვის ყველაზე ადვილი იქნება დამტკიცება იმისა, რომ საერთაშორისო სოციალდემოკრატიული დროშის ქვეშ უნდა შეერთდნენ ყველა, ვინც-კი დაქირავებულ შრომას დამონებული ყავს კაპიტალიზმის მიმე უდელ ქვეშ. შეთანხმებული სოციალდემოკრატიული პროგრამის ნიადაგზე, ყველა პროფესიის მუშებს უფრო ადვილად შეეძლებათ შეთანხმება ყველა დანარჩენ კითხვებშიაც: ვინ გაუფანჯონ დემაში, რომელა ჰროფესიას წარმომადგენლები არიან უფრო საჭირო (დუმაში) სპეციალური ცოდნისათვის, და არა იმისათვის, რომ ისინი დაიცავენ ინტერესებს ათეანთ ჰროფესიასს და სხვა.

ყველა ამ კითხვების ადვილად გადაჭრა შეიძლება სერიოზულად საერთოდ მთელი მუშათა კლასის სასარგებლოთ. პროლეტარები ყველა პროფესიებისა უნდა შეერთდნენ! მუშათა კლასს მხოლოდ მაშინ ექნება საშუალება აღნიშნულთ თავისი ძლიერებისილი ხმა თავისი და მთელი რუსეთის ბედობლის კითხვის გადაწყვეტის დროს.

პროფესიონალური მოძრაობა 1906 წ.

1906 წელმა ძალიან საბრალო მდგომარეობაში მოუსწრო პროფესიონალურ მოძრაობას. ძველი დიდებისა ნატამალიც აღარ იყო დარჩენილი: მთავრობა გაბოროტებული ანადგურებდა ყოველგვარ კავშირებს, აპატივებდა მათ თანამდებობის პირებს, სწავდა და ანგრევდა კავშირების სადგომებში ყოველგვარ მოწყობილებას და სხვა. ერთის სიტყვით, რეაქცია ერთგულათ მეცადინეობდა, რათა მუშათა მო-

ძრაობა ძველ ბარბაროსულ დროსთვის დაებრუნებინა, როცა არავითარი ხალხი სამოქალაქო უფლებებით არა სარგებლობდა, არც იცოდა-რა ასეთი უფლებებისა, არ შეეძლო თავისი კლასიური ბრძოლა ფართო შეკავშირებულ ფორმებში ეწარმოებინა.

არც ხაზინები რჩებოდნენ უკან მთავრობას. რევოლუციის შენაძენთა შორის მას პროფესიონალური კავშირები ყველაზე ცხარეთ სძულდა, და თუ აქამდე იფინდა იმიტომ, რომ დროს წინააღმდეგ ვერა ეწამებინა-რა. და რეაქციამ გაიმარჯვა თუ არა, კაპიტალისტებიც ვეფხვიეთ გადაერიგნენ დამარცხებულ მეშახალხის წინათმდეგ ბრძოლაში. ყველა შრომის გაუმჯობესებელი პირობები ერთი ხელის დაკვირვით მოსპეს: ყველგან ისევ გააგრძელეს სამუშაო დღე და შეამცირეს ხელფასი. ეს კიდევ არ იკმარეს: პროფესიონალურ კავშირების დელეგატებს სამუშაოდან ითხოვდნენ, პოლიციას აძლევდნენ; ყველა იმ სამრეწველო დაწესებულებებში, სადაც დიკემბრამდის ხაზინები საბრალოთ მოკაცვა დიდებულმა მუშათა მოძრაობამ, იქ ბურჟუაზიამ დიკემბრის შემდეგ საესებით შური იძია: ასობით და ათასობით ქუჩაში ჰყრიდნენ მოწინავე მუშებს.

ამნაირათ პროფესიონალურ მოძრაობას მატერიალურათ ძარი თითქმის გამოთხრილი ჰქონდა: თითქმის არავითარი ორგანიზაციური ელემენტები აღარ არსებობდნენ, და უსახლვროთ. გაზრდილი უმუშევრობა კი მძიმე ტვირთს აკისრებდა პროფესიონალურ მოძრაობის გაფანტულ მოღვაწეებს.

მაგრამ პროფესიონალური კავშირების „ფანატიკოსები“ მაინც სულით არ დასცემულან. ოქტომბრის რევოლუციამ ისეთი სამკვიდრო დასტოვა, რომელსაც დიკემბრის რეაქცია ვერ მოსპობდა: მუშებში და მთელ მოწინავე საზოგადოებაში პროფესიონალურმა კავშირებმა უკვე ჩვეულების სამკვიდრე მოიპოვეს; ფართო „პროფესიონალურმა“ აგიტაციამ, რომელიც პროფესიონალურმა კავშირებმა ენერგიულათ აწარმოეს ოქტომბერ-ნოემბერში, ამოუღწელი კვალი დასტოვა ფართო მასის შეგნებაში, მკიდროთ ჩაუნერგა მას ეკონომიური ორგანიზაციის საჭიროება. აი ამ სადაგს პროფესიონალური კავშირებისა ვერაფერი დააკლო რეაქციის მხეცურმა მძინვარებამ. ამით საესებით ისარგებლეს პროფესიონალურ კავშირების მუშაკებმა. მათმა თავგამოდებულმა, შეუპოვარმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ნელ-ნელა კავშირებმა ისევ წამოდგომა და გამაგრება იწყეს. კავშირების აღმასრულებელი ორგანოები დაუღალავათ ცდილობდნენ, რომ უმუშევრათ დარჩენილ აზხანაგებისათვის ცოტათი მაინც არის გაჭირვება შეემსუბუქებინათ. ეწყობოდა ნელ-ნელა საეკიშო და იურიდიული დახმარება.

რამდენათ მალე წამოედგნენ რეაქციის სუსხს პროფესიონალური კავშირები, ამის მამოწმებელია თებერვალში მომხდარი მეორე კონფერენცია პროფესიონალური კავშირებისა (პეტერბურგი). ამ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, კიევის, ხარკოვის, ადესის და რამდენიმე სხვა — სულ ათამდე ქალაქის პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლებმა. წარმომადგენელთა მოხსენებათაგან ნათლად გამოიჩნდა, რომ კავშირები უკვე ფეხზედ აღგომოდნენ რეაქციას, და ახლა რიგი არსებობის უფლებათა გაფართოვებაზე მიმდგარიყო. რეაქცია ახალ ლახტს უშაბდებდა 4 მარტის კანონით პროფესიონალურ კავშირებს; პროფესიონალური კავშირებიც მის დასახვედრათ ემზადებოდნენ.

კონფერენციაზე წინდაწინვე დაისვა კითხვა ოთხი მარტის კანონზე იმ სახით, რა სახითაც ამ კანონზე პრესაში ხმები დადიოდა. კონფერენციამ ღირსეული მსჯავრი დასდო ამ კანონს, როგორც მუშათა კლასის ისედაც ვიწრო ბილიკზე დაგებულ მახეს. ამავე დროს კონფერენცია ურჩევდა ყველა ამხანაგებს უკიდურეს შემთხვევაში არც ამ კანონს მორიდებოდნენ და ის, მუშათა კლასის დამონების ახალი იარაღი, ახალი ბრძოლისათვის ფეხის მოსამაგრებელ პუნქტათ გამოეყენებინათ. კონფერენციის მსჯელობამ გამოარკვია პროფესიონალურ ორგანიზაციათა გასაფართოებელი გზები. მან სასურველათ სცნო ხშირ-ხშირი საოლქო კრებები და კონფერენციები პროფესიონალური კავშირებისა. ბოლოს კონფერენციამ არჩინა დროფილიანი ცენტრალური ორგანო—იგივე საორგანიზაციო კომისია მთელი რუსეთის პროფესიონალურ კავშირების სიეზლის მოსამზადებლათ.

კონფერენციამ პროფესიონალურ მოძრაობას საგრძობელი ნაბიჯი წაადგმევინა პირველ ყოვლისა მით, რომ მან გააფართოვა კავშირების გამოცდილება. ამავე დროს კავშირთა ორგანიზაციული საზღვრები ფართოვდებოდა. გაბნეული ძალები ნელ-ნელა ისევე თავს იყრდნენ. თან ახლოვდებოდა სახელმწიფო სათათბიროს გახსნა. არჩევნებმა გააფართოვეს „სამოქალაქო თავისუფლება“; ამით მარჯვეთ ისარგებლეს პროფესიონალურ კავშირებმა. 4 მარტის კანონი თანდათან გაშლას იწყებდა იარაღი ხდებოდა კავშირების ხელში. კანონმდებელთა აზრით და განზრახვით 4 მარტის კანონს „სეზარტოვით წესი“ უნდა შეეტანა კავშირების პრაქტიკაში. კავშირებმა კი იმით ისარგებლეს „გამოცხადებითი წესის“ შემოსაღებად: კავშირები ორი კვირის წინათ უცხადებდნენ და ნებართვას სთხოვდნენ ადმინისტრაციას კავშირის დაარსებაზე. ორი კვირის შემდეგ კი ის ნებართვას აღარ უცდიდა და ცხადად იწყებდა მოქმედებას, იმ საბუთით, რომ ადმინისტრაციამ ნებართვაზე უარი არა სთქვა და, მასმასადამე, ნება დართო.

ნელ-ნელა ხშირდებოდა პროფესიონალური კრებები, გაცოცხლდა პროფესიონალური მწერლობა. მოძრაობა ნელ-ნელა უახლოვდებოდა თავის ოქტომბრულ სახეს...

სათათბიროს დათხოვნა—ეს ახალი რეპრესიების ნიშანი იყო პროფესიონალური კავშირების თავს. იელისშაიკ „დუკემბრული“ მიხედვარებით დაეცა რეაქცია თავს ყოველგვარ კავშირებს. მაგრამ თუ დუკემბრში უძღლური დარჩა მთელი ბოროტება მთავრობისა, ეხლა უფრო თვალსაჩინო შეიქნა მისი უძღლურება. პროფესიონალური კავშირები ეხლა უკვე საქმათ გამაგრებული იყვენ, და უფრო ნაკლები ზიანით ვადურჩნენ რეაქციის იერიშს. მთავრობის პროვოკაციამ უნაყოფოთ ჩაიარა და კავშირებმა დინჯათ და მოფიქრებულათ დაიბიეს უკან. მთავრობის რეპრესიების სიხარულთ მიეგებნენ და ენერგიულათ მხარი დაუჭირეს კაპიტალისტებმა; მაგრამ ეს ცრუ დღესასწაული იყო. ვერც ეს შეაჩერებდა თვით ცხოვრების მძლავრ ტენდენციას; პროფესიონალურ კავშირებს მუშათა კლასი ეხლა-კი იმდენათ შეევირა, რომ უფრო ნაკლებათ შეეწეოდა მათ არსებობას. ისევე იზრდებოდა მატერიალური ძალა და გავლენა.

4 მარტის კანონს მთავრობამ თავისებურათ დაუწყო ახსნა; ამისთვის მას სრული ძალა შეეწედა. მაგრამ პროფესიონალურმა კავშირებმა სულ უბრალოდ საშუალება იხმარეს ამ კანონის წინააღმდეგ, — ის მოქმედების გარეშე დააყენეს მით, რომ არა-კანონიერ ნიადაგზე დადგნენ. ამან ვერ შეუშალა ხელი პროფესს. კავშირები კიდევ უფრო განვითარებდნენ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. ძველებურათ ხშირათ იმართებოდა კრებები. თანამდებობის პირნი პირნათლათ ასრულებდნენ თავის დანიშნულებას და არც კავშირსა წყვეტავდნენ კავშირების მასმასთან.

პროფესიონალურმა კავშირებმა გაფართოვება და ცალკალკე ქალაქების საზღვრებიდან გამოსვლა იწყეს. გახშირდა ოლქობრივი კონფერენციები, როგორც სხვადასხვა საქალაქო

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

გ ა ზ ა რ ზ ე .

სალამო არის. ხალხი ქუჩაზე სასიეროდ გამოფენილა, ალბათ მოსწყინდათ ოჯახებში, დასტოვეს ბინა!.. ყველგან ჩოჩქოლი, მოძრაობა და ქრიამული: აქ სიცილია, იქ მწარე კენესა—დაუგდეთ ყურით! ერთი ხომ ძალზე გატიკნილა, გისიებულა, მეორეს ფერდი-ფერდს მიკვრია, ჩონჩხათ ქცეულა... აგერა ეტლი მოგრიადლებს, შოაკეს მთა-ბარი, შიგა ზის ფლიდი, განცბრომის-ძე—ბობოლა არი; ყველა გზას უტლის, მოკრძალებითა ეპყრობიან, თითქო მის ბედით სხვები ხარობს და ერთობიან!.. ეგერ მშრომელი სარდაფისა წინ ატუხულა, იგი კანკალებს, სიცივისგან მთლათ მოკუტულა; თვალს არიდებენ, შორს უფლიან იმ დაფლეთილსა: კაცსა არა ჰგავს—მოგაგონებსთ მხოლოდ აჩრდილსა... მას თავს უფარავს რაღაც მწვარი, ზურგსა კურტანი და მუშტასს ექებს... ტვირთი თუა გადასატანი; ოჯახშია ჰყავს დამშეული წვრილი ცოლ-შვილი, უნდა იზრომოს, შეიტანოს თავისი წვლილი. აქ კიდევ ხალხში ჩარეულა მეძავი ქალი,

ყველას უღიშის, ყველას წყალობს იმისი თვლი; იგი მანკვითა, მტერგვა-გრეხით მიდის ქუჩაზე, და მუშტასს ექებს უთვალთვალეს აქა—ბიარქაზე... ვინ არის იგი, სადაური; სიდან მოსულნი? რამ გადმოტყორცნა, რისთვის არის აქ ჩამოსული? არაგონ უწყის:—მასში ხედევენ მხოლოდ საქონელს, ნამუსსა ჰყიდის... მაგრამ ოდნათ ეს არ აღონებს! დუხპირ ცხოვრებამ შეაჩვია ამ გარყენილებას, და გროშებზე ცვლის, ახურდავებს თვისსა ქმნილებას... მუხთალმა ბედმა ეგ უფსკრული არგუნა მასა და ჩვენ-კი ვკიცხავთ,—რათ დაადგა იგი ამ გზასა?!. ეყბ, ცხოვრებავ! შენი წესი რა რიგ ქრელია: ერთისა სიტკბო—მეორესთვის შხამ-ნაღველია...
აღ. გერასიმოვი.

„შე, საჩაგალო!..“

(ესიხი).

I.

„შვილო! მშვიდობით, ჩემო ძვირფასო და სანუგეშო მომავლისა! მშვიდობით, ჩემო სულო და გულო, ჩემო იმედო, ჩემო სათაყვანებლო ღვთაება! დღეის იქით ოთხი წლის განმავლობაში შენ ვერ იხილავ საზიზღარ ჯალათების-მიერ განადგურებულ კერას, გაუპატრიუ-

ცენტრალურ ბიუროებისა, ისე ცალკე პროფესიებისა. მზადდება მთელი რუსეთის კონფერენციები რამდენიმე პროფესიისა. მოსალოდნელია, აგრეთვე მოკლე დროში პროფესიონალური ცენტრების მთელი რუსეთის სივრდი.

პროფესიონალური კავშირები არც პოლიტიკურ მოძრაობას არიან „გამოწყვეტილი“. მათ პოლიტიკურ გულგრილობას თვით მთავრობა უთხრის ენერგიულათ ძირს თვისი უგუნური რეპრესიებით. დღეს ყველგან, სადაც კი კავშირები მაგარ ნიადაგზე დგანან, განსაკუთრებით სატახტო ქალაქებში, გახურებული საარჩევნო მუშაობაა. ექვი არ არის, რომ პროფესიონალური კავშირების დახმარება ს.-დ. პარტიას გაუფართოვებს საარჩევნო ასპარეზს, რომელზედაც მას აეწიროვებენ როგორც მთავრობა თვისი „განმარტებებით“, ისე ბურჟუაზია თვისი ლოკალტებით.

მაგრამ პროფესიონალური კავშირების მნიშვნელობა ჯერ წინ არის. ისინი ეხმარებიან დღეს პარტიას, დაეხმარებიან მამინაც, როცა პარტია ამართავს. უფრო ვადაწყვეტი ბრძოლის დროშას.

შოა.

მუშათა მოძრაობა და პროფესიონალური კავშირები.

თ ბ ი ლ ი ს ი.

ორი პროექტი.

(თბილისის სტალერების ცხოვრებიდან).

მრავალ საუკუნოებით დაჩაგრულ და გაყვლილ პროლეტარიატმა შეიგნო თავისი ინტერესები, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ პროლეტარიატის მტერია ყველა ის მუქთახორა ხაზინები და პოლიტიკური მთავრობა, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ცალ-ცალკე ბრძოლა მარტო ძალების დასუსტებაა, მუშებმა იწყეს დარაზმვა მუშათა პროფესიონალურ კავშირებში, რათა უფრო ძლიერი ძალა დაეხვედრებინათ ხაზინების ძალისათვის.

რებულ შენ საყვარელ დაიკო თეოს, სანთელივით ჩამომდნარ და ქლექით დაავთმყოფებულ მამას ციხეში, შენა—მუქებით აღმზრდელ დედას—მე! ცივ და სამუდამოთ ზამთარ-ზაფხულიან თოვლით შემოსილ მხარესკენ,—სადაც შენი გული უნდა დასკენეს, უნდა მოსცილდეს ძმებს, მეგობრებს, ნათესავებს, მშობლებს და, ეგების, კიდევ შეგქამოს სუსხიანმა ბუნებამ და მით მიწის კერძი-და გახდეს!

ამისათვის მე, შენი უტკბილესი დედა, შენი აღმზრდელი და უერთგულესი საყვარელი გთხოვ და უნდა შენს გულზე სისხლით აღბეკვო ის სურათი, რასაც წარმოადგენს დღეს ჩვენი მხარე...

გახსოვს? როგორ საზიზღრად გაგიუბატიურეს შენი თვალების წინ შენი მკვიდრი დაი—თეო!.. როგორ ვადაგვიწყვეს სახლ-კარი, ჩვენი მაცხოვრებლის ერთადერთი ნუგეში, როგორ მოგვაცილეს ჩვენი იმედი—მამა?!

ხომ უყურებდი,—როგორ ველურ ხალხების მგზავსად არბევდენ და აწიოკებდენ საწყალი ხალხის საუბრებს მთავრობის, ანუ გაბატონებულ ბრძოთა ჯალათები! გაიხსენე,—რამდენი უღანაშალო მეგობრები დაგიხვრიტეს, სასირცხვოთ ხევე ააკრეს და ჯვარზე აკრული აწვალეს!

—მერე რისთვის?! რა დააშავეს?!—

ჰმ!.. იმისთვის, რომ ისინი ითხოვდენ ქვეყნად სამართალის დაპყრობას, მშობა-ერთობის განმტკიცებას, აღმართარ,

ამას თბილისის სტალერებიც დახედენ მომზადებულათ: 1900 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1905 წლამდე აღარ დარჩენილა არც ერთი კერძო სახელოსნო, რომ გაფიცვა არ მოეხდინათ რვა საათის სამუშაო დღის მოსაპოვებლათ და სხვა და სხვა: თუმცა გაფიცვები ხდებოდა ცალ-ცალკე, მაგრამ გამარჯვება მუდამ მუშების სასარგებლოთ თავდებოდა. უწინ დღეში 15—16 საათს მუშაობდენ, დღეს-კი სამუშაო დღე არ აღემატება 8-9 საათს, და, რადგანაც ნაწილ-ნაწილ (ცალ-ცალკე) გვიან კეთდებოდა საქმე, ამიტომ განიზრახეს 1905 წ. შედგენა პროფესიონალური კავშირისა.

ეს ხაზინებს, ცოტა არ იყოს, არ ემათ, და მათაც მონდომეს მუშებთან ერთად კავშირის შედგენა. ჩვენც ხომ თქვენნი ამხანაგები ვართ, ჩვენც გვინდა თავისუფლება, ჩვენც თქვენსავით ვიყვლიფებით დიდი მექარხნეებისა და „მებელჩიკებისაგან“, ჩვენც სოციალ-დემოკრატები ვართ, და რატომ არ უნდა ვიყვეთ ერთ კავშირშიო“.

მუშებმაც დაუჯერეს; რა უშავს, ვიყოთ ერთ კავშირშიო.

პირველი კრება მოხდა 1905 წ. 3—4 მარტში პროექტის შესადგენათ, კრებას წარუდგინეს მუშებმა ცალკე პროექტი და ხაზინებმა ცალკე. მუშების პროექტი შეიცავდა პროგრამა მიზნულს სოციალდემოკრატიისას. ხაზინების პროექტი უთითებდა დიდრონ მექარხნეებსა და მალაზიის პატრონებზე: „ისინი არიან ჩვენი მტრები“, გაიძახოდა ბ. ვაშაიძე. „ჩვენი ხსნა მდგომარეობს შემდეგში: ა) გავხსნათ რამდენსამე ადგილას „ამბარი“ (ბელელი), სადაც შეუძლია მიიტანოს დამზადებული საქონელი ყველა სტალარამა, რომ აღარ ისარგებლონ მალაზიის ჩარჩ-პატრონებმა ჩვენგნით, ბ) გავხსნათ ხუროს ქარხანა, საიდანაც უნდა მიქონდეს ყველა სტალარს ფიცილები და სხვა მასალები; ეს იმიტომ იყო საჭირო, რომ, შეიძლება მალაზიის პატრონებმა პირი შევრან, გახსნან ერთად ქარხანა და მასალა ძვირათ

თავისუფალ ცხოვრების დაწყებას! ისინი ითხოვდენ კეთილ და მშვიდობიან ცხოვრების აღდგენას, მოსპობას ადამიანთა შორის ყოველივე მტრობა-შუღლისა, ჩავგრა-დაბეჭავებისა და ბოროტებით აღვსილ ქვეყნის ნაცვლად ყველასთვის სანეტარო და თავისუფალი ცხოვრების შექმნას!..

აი, რას მოითხოვდენ ისინი და რისთვის დასაჯეს ბოროტმა ძალებმა!

შენც,—შვილო, იმათ რიცხეში უნდა ჩაეწერო... შენც მათსავით ქული და მუნდირი უნდა შეგიკერონ და მით გიპირებენ გაგაჯალათონ კიდევ!?

მარა, როგორ უნდა მოიქცე შენ? იგინსავით უნდა გამხეცდე?! შენც უნდა მოუკლა სხვას მამა, დედა, გაუუბატიურო დაი, გაუნადგურო სახლ-კარი, ამოუწყვიტო მეგობრები და მით მოუწამლო ყოველივე ნუგეში ადგილობრივ-გაფურჩქნულ ცხოვრების?! შენც უნდა დაჰკარგო სინილისი?!

შენ, ჩემი და აგრეთვე საზოგადოების შვილი ხარ; ჩემს მეტს შენთვის არავის უნდა სიკეთე, შენი ბედნიერება!

ჩემი ანდერძი შენთან სრული წინააღმდეგობაა!.. გესმის? წი...ნა...ლმდეგო...ბა!..

მე მირჩენია, შენ მოკვდე, მიწას მიუბარო, მატლებმა შეგქამოს, არ არსებობდე ქვეყნად ჯალათი, სასირცხო ადამიანი, სინილის-ნამუს ახლილი! ჩემთვის ბედნიერებაა,—სიცოცხლე შენი სიკვდილი ხალხისათვის, თავისუფლებისათვის, კარგ

მოგვეყიდა ხოლმე, გ) რომ მწვანეობით ამ მიზანს საქიროა მოვავროვით კაცის თავზე ხუთი მანეთი, მიუხედავად ირისა ქარგალია ის თუ ხაზინიო“. აი პროექტიც! ერთმა მუშამ შეეკითხა: შემოსავალი როგორ-ღა უნდა გაიყოსო? — უპასუხეს: შემოსავალი ხაზინების იქნება, ხოლო სამაგიეროთ, რომ მუშებს არ დაეკარგათ გადახდილი ფული, ისინი მუდამ იმუშავენ ჩვენთან, რადგანაც ჩვენ (ხაზინებს) სამუშაო გვექნებაო. რადგანაც კრების გაგრძელება აღარ შეიძლება, შეუდგენ კომისიის არჩევას. კომისიაში უნდა ყოფილიყო 3 ხაზინი და 7 მუშა იმიტომ, რომ ხაზინები უფრო მოკლილები არიან, ვინც მუშებო, იმხდენ ხაზინები, — და მეტსაც გააკეთებენო. თუმცა 7 მუშა უნდა ყოფილიყო კომისიაში, მაგრამ ამათგანაც 3 — 4 ისეთები აირჩიეს, რომელთაც კერძო სახელოსნოები ჰქონდათ. „ესენი ხომ თქვენს მხარეზე იქნებიან“, — გვარწმუნებდნენ ხაზინები რადგანაც უმრავლესობა ხაზინები იყო, და ისეთი მუშებიც კი ვერინენ, რომლებიც აყვედ ხაზინების ფეხის ხმაურობას, ამიტომ კომისია იქნა არჩეული ხაზინებისაგან. თუმცა პროექტი უნდა შეემუშაებინათ რამდენიმე დღის განმავლობაში, მაგრამ ვის გახსენებია აწი ეს? ხომ თავიანთი გაიტანეს ბ. ხაზინებმა.

მუშებმა, 9 თვის ლოდინის შემდეგ, გადასწყვიტეს მოეწვიათ მთელი მუშები და ამოერჩიათ ახალი კომისია კავშირის წესდების პროექტის შესამუშავებლათ, — ერთის მხრივ, — და, მეორე მხრივ, მოთხოვნების შესამუშავებლათ, რადგანაც მუშებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მოეხდინათ საერთო გაფიცვა. ბ. ხაზინებისაგან შემდგარი კომისიის ორი წევრი გამოცხადდა მუშების კრებაზე რაღაცა ქაღალდით ხელში, აქაც ჩვეულებრივად ბლომათ დაესწრნენ ხაზინები; განებრაბათ შეეშალათ ხელი მუშებისათვის, მაგრამ ამათ! კომისიის წევრებს რაღაცის თქმა უნდოდათ, მაგრამ ერთხმათ უყვირეს მუშებმა: „არაფერი არა გვეწამს თქვენი, აქედან ვაგვეცალღნითო“.

მაშინ-კი გამოჩნდა იმ ვაჭბატონების „სოციალისტობა“, რომლებიც ხალხს უმჯიციებდნენ — „სოციალდემოკრატები ვართო“. მაგალითად ს. მაქაფარიანი, რომელსაც თავი სოციალისტათ მოქონდა, ხაზინებს ეუბნებოდა: ხომ ჩვენც „მაგათსავით ქუჩებში უნდა დავიარებოდეთ მშვიდრები, თუ უნდათ იმუშაონ. 10 საათი, თუ არა და, საცა უნდათ იქ წავიდნო“.

ბ.ბ. ხაზინებმა დიდათ იწყინეს, როდესაც იმათ წინააღმდეგ ილაპარაკა ერთმა სტალარმა, და უყვიროდნენ მას ბ.ბ. ვაშაიძე და მაქაფარიანი: „ძირს! არ გვინდა! ეგ ხომ სტალარი არ არის, მაგას რა საქმე აქვს სტალარებშიო“?!

მუშებმა ამოირჩიეს ახალი კომისია და მიანდვეს ზემოხსენებული პროექტის და მოთხოვნების შემუშავება. კომისიამ რამდენიმე დღის განმავლობაში კრებას წარუდგინა მომზადებული პროექტი, მაგრამ სისრულეში არცერთი არ იქნა მოყვანილი, რადგანაც იმ ხანებში ყველგან რეაქცია იყო გამეფებული. ხაზინებსაც ეს უნდოდათ, დაუბრუნდებოდნენ ძველდროს. და ამუშავედნენ მუშებს 9—10 საათს. ეს ადვილათ შეიძლეს მათ ისეთ სახელოსნოებში, სადაც რიცხვით 5 კაცამდის მუშაობდა, სადაც 5 მუშაზე მეტი მუშაობდა, ისინი-კი ადვილათ არ უვარდებოდნენ ხაზინებს ფეხქვეშ საკრეკტებრებივით. „რომ ვინმე კითხოს ხაზინებს: რატომ ჩადიხართ ამასო“, ისინი უსირცხვილოთ მოყვებიან თავის გამართლებას ამგვარი ძველი ლათაიებით: „ჩვენც ხომ თქვენი ამხანაგები ვართ, ჩვენც თქვენსავით პარტიის წევრები არა ვართო? ჩვენთან უფრო ნაცლებ ფასებში და მეტი საათები უნდა იმუშაოთო“, ასე იმართლა თავი, სხვათა შორის, ლალო გელაძემ; ბ. ყოდალაშვილი-კი გვარწმუნებს ხოლმე: „სანამდის საქართველოში სომხები არ იყვენ მოსული, საქმე კარგათ იყო ჩვენთვისო, როდესაც სომხები მოვიდნენ, მათ ნელ-ნელა გამოიშვავადალეს ხელიდან საქმეებიო“. ჩვენ რომ ათი საათი ვიმუშაოთ, ამით არაფერი მოვიგებთო, პირიქით, მოვიგებთ ფულს;

მომავლისათვის! და, მართლაც, აბა ჩაუყვირდი თავისთავს: რისთვის არსებობ შენ თვითონ? რა დანიშნულებაა შენი ცხოვრება? უკან წახვიდე, მონობის და ყმობის დრონი დიბრუნო და ისე ტანჯვა-წამებაში იცხოვრო? ნუ-თუ ამისთვის უნდა მოუსპო სიცოცხლე მალაღ-იდეალებისთვის მებრძოლთ გაუგმირო გული, თავისუფლებისათვის ახალგაზღვრი გრძობით აღსაყვ?!

არა! მე მირჩევნია, შენ მოკვდე გმირი, ვინც ცოცხლობდღე ჯალათ, სხვისი მონა, სისხლის-მსმელი, იულა!.. გესმის?! მაშ, გაიკოღე, შეილო...

შენ წახვალ!.. მარა, მონათა შორის სხივის მომფენი საღდათი უნდა გახდღე! სხების, ჯალათების მტერი, დაუძინებელი შურის-მაძიებელი! შენ ერთი იქნები ათას მონებში! მერე, რა უყოთო? გაწამებენ, დაგაკარგავენ, დაგხვრეტენ, დაგანჩობენ, ყველაფერს გიქმენ! მარა, ეს შენთვის სამოთხეს და ბედნიერებას უნდა შეადგენდეს, რადგან იცი კვდება თავისუფალი და ადამიანობისათვის მებრძოლი მოქალაქე, და არა მონა, ჯალათი, სინდის დაკარგული!..

შეიძლება, ავციოდნეს ეს საუანჯველიც! მიუხედავად ამისა, შენ სხვა ამხანაგებს უნდა უნებდღე თავისუფლების ლამპარს, უღვიძებდღე ადამიანურ გრძობებს, ერთმანეთის სიყვარულს, ძმობას, ერთობას, ამხანაგობას! შენ უნდა აღგზნებული სულით ჩაშპერო იმათაც დღე-მამის-სიყვარული, სამშობლოსა და ხალხის თანაგრძობა და სხვა-და-სხვა.

ეს არის, შეილო, ჩემი ანდერძი და გთხოვ გახსოვდეს სიკვდილამდე!..

II.

აგერ სასაღდათო ამხანაგებიც ჩამოიარნენ და მოსეც წაიყვანეს! მათ შორის ბევრი ღვინით იყვენ გაღეშილნი, გრძობა დაეკარგათ და, ვინ იცის, რას არ ჩადიოდნენ!..

ისინი ლევდენ ყველაფერს! იციოდნენ, რომ შორს, სხვა კუთხეში მიდიოდნენ, ამისათვის გრძობას იშობდენ, ტვინს იღაყებდენ და ცხოვრების ქუქკიან მორევში სკურადენენ! ხო, ისინი შეუგნებლნი იყვენ! იმათ დავიწყებით თავიანთი ოჯახას, კერას, მიღამოს უბედურება და „ტკბილ“ ღვინოში გაუწირავთ ის ფიქრები, რითაც უნდა ყოფილიყვენ გამსჭვალულნი სასაღდათოთ წასვლის წინ; დაახ, ასინი, მხოლოდ, როგორც მონა — ადამიანები, შეუღრეკელ ბედს დამორჩილებოდენ...

მოსე კი, დედის ანდერძის შემდეგ, სრულიად გამოცვლილიყო. ის ადღელებული მიდი-მოდიოდა. ეტყობოდა, რომ სინდისი ქენჯნიდა, აწუხებდა და ადღელებდა მას! ის შურით აღსვლი იყო და ერთად-ერთი სურვილი ქონდა ჯალათებს ჩარეულა და თავისი დედის ანდერძი ცხოვრებაში გაეტარებია.

ცოტა ხნის შემდეგ, სასაღდათოებმა გასანაწილებელ ცენტრში ამოყვეს თავი.

ყველანი ჩავიდგებთ ხელში საყოფ საწარმოო იარაღებს და დავამარცხებთ უფრო მოზრდილ ქარხნის პატრონებსაო, შევერთდეთ ერთად წვრილმა ხაზინებმა და მუშებმა,— ჩვენც ხომ ვიყვლიფებით თქვენთან ერთად მსხვილი მქარხნეებისაგანო.

ვიცი, ვიცი ბ.ბ. ხაზინებო, რა ერთგულებიც ბრძანდებით მუშებისა!

შაქო მუშა.

ვაგზალში საფაროვის ტრაქტორის მოსამსახურეების ვაფიცვა. 2 იანვარს დღის 10 საათზე გაიფიცნენ საფაროვის მოსამსახურეები. მიზეზი ის იყო, რომ 1 იანვარს მოსამსახურენი მშვიტ-მწყურვალნი ეყარნ თავიანთ ნესტიან და აყროლებულ ოთახებში. მშვიტმა კუქმა თქვენი ქირი წაიღოს, საქმე იმაშია, რომ თითო მათგანს ერგება სამი-ოთხი თვის ჯამაგირები და ბატონი საფაროვი დღეს ხვალობით-კი ატყუილებს საცოდავ მუშებს... ხაზინის ტყუილს მუშებმა დაუბირდაპირეს ვაფიცვა და მოითხოვენ საჩქაროთ დაკმაყოფილებას. ბ. საფაროვი კიდევ წყრებოდა და კიდევ ევეღრებოდა... და დიდის მუდარის შემდეგ მუშებმა შეიწყნარეს ბ. საფაროვის ვეღრება. შემდეგ მიზრძანდა ბ. საფაროვი და ხელი მოკიდა დაეთარს, დიწყო ანგარიში, თუ ვის რამდენი უნდა მისცეს. მაგრამ კიდევ არ მგონია, რომ ბ. საფაროვი არ დაატყვილებს საცოდავ და გაძვალ-ტყავებულ მუშებს! ენახოთ!

წამალთვის საპარიკმახერო. გასულ ზაფხულს აღნიშნულ საპარიკმახეროს ქარგალ-შევირდებმა ვაფიცით უპასუხეს, დღი-ყანდ“ ხაზინს, რადგანაც ის ფეხქვეშ თელავდა საერთო ვაფიცვით მოპოებულ უფლებებს. ვაფიცვა მუშებისა გამარჯვებით დამთავრდა. მარა, ხაზინი მაინც იმუქრებოდა: „გირჩენიათ სანახევროთ. იმუშავეთ, თორემ ყველას მიგაბრძანებთ აქე-

სალდათები აქაც გარყენილების მორევში ცურავდენ! ღვინით ვალეშილი ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდენ და გამვლელ-გამომვლელ ადამიანებს შეურაცხყოფას აკენებდენ.

ისინი თავიანთ დარდს ღვინოში ჰკლავდენ! მოსე კი, ფიქრებს შეებოკა ღვინისთვის თავი დაენებებია და გახეთის ფურცლებს ათვლიერებდა,— ეგები სანუგეშოს წავაწყდე რას-მესო!..

ღიახ, მოსე განცალკევებული იყო!.. ამდროს ღვინით გაღეშილი ახალგაზდა სალდათი მივარდა მოსესთან და გრძნობა-დაკარგულმა, უშვერი სიტყვებით წამოიყრანტალა: „ბიჭო, რას ჩაფიქრებულხარ, არ გგვონოს, რომ შენი ფიქრებით ქვეყანა გადააბრუნო!“ და ისევე განაგრძო თავისი უგზო-უყვლო გზა.

„ბიჭო, რას ჩაფიქრებულხარ, არ გგვონოს რომ შენი ფიქრებით ქვეყანას გადააბრუნებო!“—უნუგეშოთ გაიფორა მოსემ. ის ამ სიტყვებში თუმცა ვერაფერს ბრძნულს ხედავდა, მარა, გონება-დაბნეულ სალდათის სიტყვა-მას გულში მოხვდა, თანაც თითქოს იმედებს უქარწყლებდა.

— რა ექნა? აი, ჩემ თვალწინ ვხედავ, თუ როგორ იხრწნებიან ადამიანები, ვხედავ, როგორ ილიაყებენ ისინი ტვინს ღვინით... მარა, იმათი სულაც ვერ ვეკარები, რომ აუხილო თვალები...

ოხ, ღმერთო! როგორ მიტრუვდება დედის ანდერძი!..

დანაო“. ამხანაგები მისმა წინადადებამ ვერ მიიმხრო, მიუხედავთ იმისა, რომ წილში მუშაობას დიდი მიზიდულობა აქვს მუშის თვალში. ხაზინი იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა ძალას შეერთებულ მუშებისას. მუშას უმიზნოთ ვეღარ ითხოვს, თუ დაითხოვა ახლა, სამი თვის უნდა მისცეს. ამის გამო გაახშირა მათზე ქურდობის დაბრალება. ამითაც რომ ვერას ვახდა, ერთ მუშას 4 მანეთი უანგარიშოარი დღის მოცდენისათვის; ისიც ავათმყოფობის გამო; თუმცა მუშას დღემო ორი აბაზი ჯამაგირი აქვს.

ეს „პატროსანი“ ხაზინის შეძლებულია, იმან არხენიათ სამსართულიანი სახლი გადმოკიმა, ისე ხომ გამოპრანქული დაბრძანდება: თითო ფოლაქში რვა მანეთს(?) აძლევს! რა თქმა უნდა, ეს ფულეები სულ ქარგალ-შევირდების ოფლით არის მოგებული. სხვათა შორის, ესლა უსტაბაშობაც მიიღო და კიდევ უფრო დიდგულათ იქცევა: ვაფიცვით მოპოვებული უფლებები ერთი კვირაა, რაც უქანვე წაართვა ქარგლებს.

ახლა გიორგი სხვა წამალოვია. აქამდის მას ძალა არ ქონდა, ახლა ხუმრობა ხომ არაა—უსტაბაში კაცია, ცნობილ მაჩანელის კისერზე დაეანგებული ჯაჭვის ჩამოკიდება! მარა, გახსოვდეს, ბ. უსტაბაშო, თქვენი ბაქიაობის არავის ეშინია. ჩვენ ციხეც ვვინახავს, ციხიბირიც, კიდევაც ენახათ! მარა ჩვენს მოპოვებულ უფლებებს-კი არ გაგათელინებთ თქვენ ჰუქყიან ფეხქვეშ!

მე გახლავარ!

საპასუხო საუბარი „ქახმთიის“ აპხ. „ახალ მუშას-თან“.

„ახალი დროების“ მეშვიდე ნომერში აპხ. „ახალი მუშა“ შენიშნავს და ასე განმარტავს ჩემი წერილის საპასუხოთ (რომელიც იყო მოთავსებული „ახალი დროების“ შე-ნ №-ში): „თუ მაგდენათ გული გტყივა „ქახმთიის“ მუშებსა და მის გამგეობაზე, რალა შორიდან გველაპარაკები, ახლოს მო-

III.

მოსე ჩრდილო-აღმოსავლეთ ქვეყნებში გაისტუმრეს. აქ ქვეყანა მოწყვეტილია! ცხოვრება შესაბრალის სურათს იძლევა: მხოლოდ თოვლი, ყინვა, სიცივე, ქარ-ბუჭი, გატიტვლებული ხეები და მინდვრები, ყინვებ ქვეშ მიმდინარე მდინარეები,— აი სურათი აქაური ბუნებისა!.. ადამიანები კი ძალიან ცოტა, ისინიც ქუნჩებში შემძვრალნი, სიცივე-ყინვისაგან დაკლინებულნი, დაავათყოფებულნი, უძღურნი და დამქნარნი,— აი მათი გამოხატულება!..

მხოლოდ ერთია, ერთად-ერთი სურათი— ეს ის, ვამაცოცხლებელი, როდესაც სალდათები გაჰყავენ ზოლზე თბილ ქვეყნებში „კრამოლნიკებზე“ სანადიროთ, მაშინ ყველანი ვამზიარულებულნი, ვაცოცხლებულნი, ვაღონიერებულნი არიან!.. მხოლოდ მაშინ ეტყობა სიცოცხლეს თავისი ნიშნ-წყალი...

მოსესთვის კი ეს პროცესი გამოურკვეველია! მან აღარ იცის, რა გააკეთოს! დედის ანდერძი მან ვერ გაატარა ცხოვრებაში! მარა, არც შეიძლება,— არც აქეთ იყო, არც იქით! ცხოვრება და ბრძოლა გადაქრილ პასუხს თხოულობს!.. იმან თავის პედს დაემორჩილა და შეიქნა მთავრობის უერთგულესი მონა!...

ის ღვინოსაც შეეჩვია, არაყს დაუმეგობრდა, ტვინი გაილაყა...

დი და პირისპირ გველაპარაკეო“ და სხვ. ჯერ ერთი, რომ ჩემი წერილის შინაარსი ამხ. „ახალ მუშას“ მრუდეთ და ყაზლბათ გაუგია, როცა ამბობს: „თუ გული შეგტკივა ჩვენ მუშებსა და გამგეობაზე“, ჩვენ ფიქრათაც არ მოგვესვლია და არც მოგვევა, გამგეობის, ე. ი. ხაზინების გულშემატკივრობა, რადგან კარგათ ვიცით, რომ მუშებსა და ხაზინებ შორის ხიდი ჩატეხილია და ორივე მათგანს, ხაზინებსა და მუშებს, სულ სხვადასხვა ინტერესები აქვთ, ე. ი. ერთნი (ხაზინები) დამკირავებელნი არიან მუშების, მეორენი კი (მუშები) დაქირავებულნი, გაყვლეფილნი ხაზინებისაგან. ხაზინი მუდამ ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ამუშაოს მუშები და, რამდენათაც შეიძლება, ნაკლები ხელფასი მისცეს; ხოლო მუშების ინტერესები მოითხოვენ, რაც შეიძლება, ნაკლები დრო უმუშავეს ხაზინს და მეტი ხელფასი გამოარაფან; დაბოლოს, მისი (მუშის) მიზანია, რასაც მუშაობს, მთლათ მან მიიღოს. ასეთია ჩემი აზრიც, მაგრამ რა გავწყობა! წაკითხვას—გაგებაც უნდა, და, რომ ამხ. „ახალი მუშა“ კარგათ დაკვირვებოდა, შეცდომაშიც არ შევიდოდა. მეორე ის, რომ „პირისპირ დაედგეთ და ისე დაგვარიგეო“, ამხ. „ახალ მუშას“ ავიწყდება, ან არ იცის, რომ პრესა (მწერლობა) ეს ერთათ-ერთი უდიდესი იარაღია ჩემი გონების განვითარებისა და წინსვლა-აღზრდისა, პროპაგანდა-აგიტაცი-კი მეორე.

ამასთან, თუ ამხ. „ახალი მუშა“ გულზე ხელს დაიდებს და სიმართლეს აღიარებს ჩვენზე, მისი შენიშნიდანაც თავისუფლად გვეკოვს, რადგან ჩვენ, პირველ დღიდან მათთან მისვლისა, შეძლებისდაგვარათ, ერთხელაც არ დაგვიზარებია მათთან მუშათა კითხვის შესახებ საუბარი. ამის დამტკიცებას ჩვენ არ ვიხილავთ. ეს თვითონ ამხ. „ახალ მუშის“ და „კახეთის“ სხვა ამხ. მუშებისთვის მიგვიჩნდება.

კიდევ ძველი თქმულობაა, რომ „ლაპარაკს ვაგონება უნდა, ხოლო დაწერილს ვაგება“, რაც, სამწუხაროთ ჩვენდა, ეს ნაკლი (არ-ვაგონება და არა-ვაგება) ხშირია ჩვენს მუშებში.

ამხ. „ახალი მუშა“ ამბობს: „შეიძლება ფიქრობთ გაზეთის საშუალებით გვასწავლით სწორე გზაზე სვლას და მშრალზე გავლასო“. და ამას უარსა ყოფს კიდევ. მისი აზრით, შორიდან ლაპარაკით, ე. ი. მწერლობის საშუალებით არაფერი გამოვა. სანამ ბავშს (მუშებს) მასწავლებელს არ დაუქვრენ; სანამ ბავშვი (მუშები) უსწავლელი დარჩებაო.

აქაც შეცდომაა ამხ. „ახალი მუშის“. განა, როცა რომელიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს ვკითხულობთ, ამაზე უფრო ახლო შეიძლება რომელიმე აზრის მიწოდება? განა მუშები, თუ მასწავლებელი არ დაიქირავეს, ისე ვერ ეღირსებათ თვით-განვითარებას? ან და რომელიმე სხვა კლასი, (თუ არ მუშები) ფიქრობს ან იფიქრებს მუშებისათვის მასწავლებლების დაქირავებას გონებრივი განვითარებისათვის?! არა და ათას-ჯერ არა! გავიგოთ, ამხანაგებო, რომ მუშათა საქმე მუშამ უნდა გააკეთოს,—მისთვის სხვა არ ზრუნავს. და თუ ამხ. „ახალი მუშამ“ ვინმესგან ისესხა, უჩვეუ ნასესხები უკან გაუგზავნოს. ამხ. „ახალი მუშა“ კიდევ ამბობს ჩემზე: „რომ დავარიგო, ეწყინება და არ ესიამოვნებაო“. მისი აზრით, მე ვითომ მათ შორის უვლიდე, პირიქით, ამხანაგო, „ახალი მუშა“! ჩემზე თუ რომელიმე ამხანაგი მუშა უქმყოფილო არის (უთუოდ შეუ ნებლათ), ეს არა იმით, რომ მე გვერდს უხვევდე, არამედ იმით, რომ ყოველი ნაკლი პირში მითქვია და ხელი არ დამიფარებია. ამაში ამხანაგი „ახალი მუშაც“ და სხვა მთელი უმრავლესობაც დამემოწმება. რომ საჭირო იყოს, „უაქტივობი ბევრი არის.

კიდევ ამხ. „ახალი მუშა“ ამბობს, რომ ჩემს წერილში ზოგი მართალი იყოს, ხოლო ბევრა ტყუილი, მაგალითად მოყვას; „ტყუილია ის, ვითომდა ორი კაცის ალაგას ერთი. მუშაობდესო“. და სხვა. ხოლო საბუთები არ მოყავს,—რომელია ჩემ წერილში უმართლო და ან რით არის ტყუილი. მეც კი ამხ. „ახალ მუშას“ საბუთებს მოვეუყვან და მასავით მშრალ სიტყვებს არ მივაწვდი.

მან მთავრობის გული მოიგო და ის უკვე უნტეროფიცერია!...

IV.

მოსეს დედა-კი,—მთავრობისაგან განამწარბები, შავ ძონძებში გახვეული, ხშირად ივანებდა თავის საყვარელს და თავისუფლებისათვის მებრძოლ შეილს—მოსეს და მით გადაქონდა ეს წუთი-სოფელი!..

მას თავი ამყათ მოქონდა და ბედნიერათ სთელიდა თავს!..

თუმცა განადგურებული სოფელი კვლავ შესაბრალის სურათს წარმოადგენდა, მარა, მცხოვრებნი მაინც არ დაცემულიყვენ სულით! ყველა მაღალ მისწრაფებებში, პოულობდა ხსნას, ყველა იქით მიილტვოდა და ცხოვრების ჩარხს წინ მიაქანებდა!..

ყველანი დაინტერესებულნი იყენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყველა, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზდა, ყველანი გაზეთებს ეტანებოდენ და მით ტყობილობდენ შორეულ ქვეყნების ამბებს!..

კვირა იყო! მზის მოკაშაშაზე ბრწყინვალე სხივები მთელ სოფელს შუქსა ჰყენდა!

ამ დღეს კრება იყო დანიშნული! ეკლესიის დაბალ სამრეკლოზე ხშირათ გავიდოდენ მკითხველი ახალგაზდები და იქიდან ყველას აცნობდენ სხვა მხარის ამბებს.

ამ დღეს, გაზეთის კითხვის დროს, მკითხველი ახალგაზ-

და, გადავიდა თუ არა გაზეთის მესამე გვერდზე, დაიწყო კითხვა ამ სათაურით: „ბ. მოსეს მოღვაწეობა სალდათობაში“!

მთელმა კრებამ ყურები აქცევია! იცოდენ, რომ ეს მოსე თავისუფლებისათვის სახელგანთქმული მებრძოლი პეღაგიას შეილი იყო და დაიწყეს ყურის-გდება.

მკითხველმა დაიწყო: „იმ დროს, როდესაც თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი მთავრობის ჯალათებისაგან თავის შესაფარად კამოდის კოლოფებში ძვრებოდენ, რათა სიცოცხლე შეენარჩუნებიათ, აი, ამ დროს, ჩვენმა ბატონმა მოსემ კამოდში დამალულ ერთ მამაკაცს, სამ ფეხ-მიძიმე ქალებს და ხუთ პაწია ბავშვებს, „ხიშტის“ წვერით სიცოცხლე მოუსპო და საშინლათ აწამა!“..

„აწამა“!.. შეიკვლა მოსეს დედა და იქვე გული წაუყენდა! „აწამა!“— იმეორებდა დრო გამოშვებით დედა!..

პელაგისს მკედრის ფერი ჩაედო, ის თითქო დასკვნა, ვითომ აღარ არსებობდა!..

V.

მარა, შემდეგ გამოყოჩადა. მან ილაჯი მოიკრიბა და მხოლოდ იმას უცდიდა, რომ პასუხი მოეთხოვა თავის შეილისთვის!..

თანაც აღდგომის ბრწყინვალე დღეები ახლოვდებოდა! მოსემ წერილიც მოიწერა,—დიდ-შაბათს საღამოს მატარებ-

ცხლა-კი საქირია ჩავეყთ ქვეით და ვალაპარაკოთ სტატისტიკური ციფრები. „კახეთის“ სახ. ლინის სარდაფში ოც სხვა-და-სხვა დარგით არის შრომა განაწილებული (რაც დღეს ანარხიულად ხდება). რომ მე შეცდომაში არ შევსულიყავი; ამ რამდენიმე დროის განმავლობაში, ამხ. „კახეთის“ მუშებზე შევითხვით; და ჩემი დაკვირვებითაც, ასეთი ცნობები შევკრიფე, თუ რომელ დარგის სამუშაოზე, რამდენი კაცი იყო საქირო ნორმალური შრომის გასაწევით. აი, ეს ციფრებიც: 1, ლინის ჩამომსხმელი — 6 კაცი, 2, პრობკის დამკერავი — 4 კ., 3, იარღიის და ბანდირილის დამკერავი — 6 კ., 4, ბოთლების მრეცხელები — 10 კ., 5, „ზაკაზე“ მომუშავე — 2 კ., 6, გარეცხილი ბოთლების შემომტანი — 2 კ., 7, გასარეცხი ბოთლების შემომტანი — 2 კ., 8, ლინის გამწურველი — 2 კ., 9, „იაშვიკი“ გამწუბი — 4 — 5 კ., 10, ლინის გადამღები — 12 კ., 11, კურტანზე მომუშავე — 3 კ., 12, „პაროვიკი“ — 1 კ., 13, ბუქის მრეცხელი და გამომწყველი 3 — კ., 14, მზარეული — 1 კ., 15, მევზოვე — 1 კ., 16, ლამპების გამწმენდი და დამკველი — 1 კ., 17, ლინის მკეთებელი — 2 კ., 18, დროგზე მომუშავე — 4 კ., 19, ღურგალი — 2 კ., 20, „კანტორშიკი“ 3 კაცი... და ყველა ესენი სულ შეადგენენ (71) სამოცდა ათერთმეტს. ცხლა ვეკითხები ამხანაგ ახალ მუშას; რამდენი კაცი მუშაობს ყველა ამ საქმეზე? მაგრამ, სანამ ამხ. „ახალი მუშა“ გვეტყვოდეს, ჩვენ ვეტყვით მკითხველებს: 35—40—45 და იშვიათად 50-მდის!

აი, ჩემი ძველი მუშის ტყუილი და, აი, „ახალი მუშის“ მართალი!.. ამხანაგო, „ახალი მუშავე“! სამოცდათერთმეტს რომ 45 გამოავალით (საშუალო რიცხვით ესარგებლობთ) დარჩება 26, და რომ ოცდა ექვსი კაცის ძალის ხარჯვა დაავსიროთ იმ 45 კაცს იმაზე მეტი, რომელსაც ისინი ეწვეიან ნორმალური შრომით, ვანა ეს დაახლოებით ორი კაცის ძალის ხარჯვას არ ნიშნავს? ჩემი საზომით კი, ხოლო თქვენი რა მოგახსენო.

ლით ჩამოვალ და შემეგებენითო! აგრეთვე ახარებდა დედას, კარგ-კარგი და ძვირფასეული საქონლები, ფარჩები, აბრეშუმობა და სხ. მომაქვს და ურემი დამახვედრეთო!..

დიდ-შაბათს, საღამოს, მოსე მართლა მოვიდა. თავის განადგურებულ სახლში.

დღდა, შევძინებში ვახვეული, კერასთან იჯდა და გაყინული გულით ელოდა თავის სძაველ შეილს.

ჯალათმა მოსემ პირველსავე დანახვაზე იგრძნო რაღაც არა-ჩვეულებრივი მოვლენა, მარა, ფიქრობდა, თავისი მოტანილი საქონლებით მოესყიდა სახელოვანი დედის გული..

შუალამე იყო!.. მახლობელ ეკლესიაზე მორათეს განუწყვეტელი ზარების რეკა!..

მთელი სოფელი ფეხზე იდგა... ყველანი ახლებში გახვეულიყო და ეკლესიისაკენ მიეკანებოდენ! პელაგია-კი დამწუხრებული, დროს უყურებდა, რათა მოსესთვის პასუხი მოეთხოვა.

ის გარეთ ვავიდა. შენახულ და „წამლით“ გატენილ დამბაჩას ხელი დაავლო და ჯიბის კალთაში ამოიფარა!

მოსე! წავიდეთ ეკლესიაზე!.. მოსე და დედა წავიდენ!..

ამდროს ეკლესიის მღვალავანი ხალხით იყო გაქედლი, პელაგიამ თავისი შვილი შუაგულ ალაგას მიიწვია.

— მოსე! ხმა მალდა დაეკითხა დედა, — ვახსოვს რა და-

ბოლოს, ამხ. „ახალი მუშა“ თავის ანებებს მის შენიშენებს და ამბობს: „როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, ახლო მებობელი უნდა იყო, და არც გაგვიძნელებდა ჩვენთან მოსვლა და დარიგება, თუ როგორ უნდა მოვიხმაროთ მოპოებული თავისუფლებაო“.

გულახდით უნდა ვითხარათ; ამხანაგო, რომ ეს უკანასკნელი სიტყვა სიამოვნებას მგერის, სისხარულს მიორკეცებს და ენერგიას მიძლიერებს; ვეცდები კიდევ, რამდენათაც ღონე და ცოდნა შემწევს, მუდამ მხარში ამოვიდგეთ ყოველის მხრით, — ცოდნით, ბრძოლით, რომ საერთო-სახოგადო სამსახური შევასრულოთ. ხოლო ერთი რამ მაკვირებს, ამხანაგო „ახალი მუშავე“! ჩვენ შენთან ვართ მუდამ ჩვენი ცოდნის დაგვარათ! — სამწუხაროთ, — თქვენ ვერ შეგინიშნავს, რა გავწყობა! თქვენი თქმის არ იყოს, წარსული შეცდომა დაივიწყოთ, თუ გინდ ჩვენზე იყოს ეს ბრალდება, მხოლოდ და მხოლოდ აწი შეუდგეთ, მეცადინეობას წინსვლა-განვითარებისათვის.

შევაძკიროთ წითელ „უნუნას“ გადაჩანჩქარება, შევაძკიროთ უზრდელური ლანძღვა-გინება, მოვსპოთ ურთიერთ-შორის მძულარება და დავამყაროთ ურთიერთ-შორის ძმური, ამხანაგური სიყვარული და ხელი-ხელ ჩაკიდებული და სოლიდარობით აღტურვილი გავწიოთ წინ და თავხარი დაცვით ჩვენს მოსისხლე მტრებს — ბურჟუა-კაპიტალისტებს და მათ მფარველ ბიუროკრატებს!

„ახალი მუშავე“! ჯერ დროებით ამით ვათავებ წერილობით საუბარს თქვენთან და, თუ მოისურვებთ და კიდევ გამოგვეკამათებით, ეს ძლიერ სასურველია და სასარგებლოც. ჩვენ დიდის სიხარულით მოგისმენთ.

ძველი მუშა № 40:

გაბარე მე? რა უყავი ჩემს, დედის ანდერძს? ჩემი თხოვნის მაგიერ შენ აქაურ ჯალათებს წააქარბე და კომოდში, კოლოფებში დამწყვედულ ქალებსა და ბავშვებს ერთმანეთის სიკვდილი და უზედურება თვალთ დაანახე? შენ არ იყავი, რომ ხანჯლის წვერზე ააცვი სამი წლის ბავშვი? შენ არ იყავი, რომ დააობლე პაწია ბავშვები და სიციცხლე მოუსპვე მამას? და ამას შემდეგ მოდიხარ ჩემთან და „ქრისტეს ლოცულობ“? შე საძაველო?!

გესმის?! „ქრისტეს ლოცულობ“ შენ, ჯალათო, ნამუს დაკარგულყო? მოდიხარ და დედას, თავისუფლებისათვის მებრძოლს, მეთაურსეუბი და მებევეი კიდევ! ვანა შენ უნდა ეკარებოდე წმინდა და სინდისიერ ადამიანს?! ვანა შენ — ბილწი ჩვენთან უნდა იყო?!

არა და ათასჯერ არა! შენ გეალერსები დღეს, შენ მოგილოცავ აი, ამ დამბაჩას... დამბაჩა გავარდა და მოსე უსულოთ დაცა დედის წინ!..

მთელი ხალხი ამ ალაგს შემოეხვია! იხსენიებდენ მოსეს და ყველანი ეუბნებოდენ: „შე, საძაველო“!..

დედკა.

კ ა მ კ ა ნ ი ა.

ბათუმის ევროპულ ქულების სახელდოსნობაში მამუშავება პროფესიონალური კავშირის წესდება:

I. კავშირის მიზანი.

§ 1. კავშირის მიზანია:

- ა) თავის წევრთა პროფესიონალური, უფლებრივი და კლასობრივი ინტერესების დაცვა.
- ბ) გონებრივით და ზნეობრივით ამღილება, სოლიდარობისა და კლასიური თვითშეგნების განვითარება.
- გ) მათი ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესების ხელის შეწყობა.
- დ) მატერიალური დახმარება. წევრთა და მათი ოჯახებისათვის.

II. კავშირის მოქმედება.

§ 2. ყველა ამ მიზნის მისაღწევად კავშირი ცდილობს:

- ა) შემოიღოს რვა საათის სამუშაო დღე, ბ) ასწიოს ხელფასი, გ) მოსპოს ზედმეტი მუშაობა, დ) აკრძალოს ბავშვების მუშაობა თექვსმეტ წლამდე, ე) განსაზღვროს ქალების მუშაობა და ე) საზოგადოთ გააუმჯობესოს შრომის სხვა პირობები.

§ 3. კლასიური სოლიდარობის და თვითშეგნების განვითარებლათ, კავშირი, სხვა პროლეტარულ კავშირებთან და პარტიასთან შეთანხმებით, ატარებს და ანხორციელებს პირველ მისის დღესასწაულობას.

§ 4. თავის წევრთა ყოველ გეარ გაჭირვების დროს (უმუშევრობა და სხვ.) დასახმარებლათ, კავშირი აარსებს სპეციალურ დახმარების ფონდს, რომელიც შესდგება კავშირის შემოსავლის ნაწილიდან და სხვა კერძო შემოწირულებისაგან.

§ 5. თავის წევრთა ზნეობრივ და გონებრივ განსავითარებლათ, კავშირი აარსებს: ა) სამკითხველო-ბიბლიოთეკებს, ბ) საღამოსა და საკვირაო შკოლებს, გ) კლუბებს, დ) მართავს თეატრს, ლექციებს, სახალხო და სხვა სასარგებლო გასართობებს.

III. კავშირის საშუალებანი.

§ 6. კავშირის საშუალებანია:

- ა) ერთ-დროული საწევრო შემოსატანი, ბ) საწევრო თვიური შემოსატანი, გ) კერძო შემოწირულებანი, შემოსავალი წარმოდგენებიდან, სახალხო ლექციებიდან, საღამოებიდან და სხვ.

IV. კავშირის შედგენილობა, უფლება და მოვალეობა მის წევრთა.

§ 7. კავშირის წევრათ შეუძლია ვახდეს ყველა ქულებისა და მის მზგავს სახელდოსნობაში მომუშავეებს, განურჩევლათ სქესისა, ეროვნებისა და პოლიტიკურ რწმენისა, თუ კი საწევრო ფული შემოიტანა და კავშირის წესდებს ემორჩილება.

§ 8. არ შეუძლია იყვეს კავშირის წევრათ:

- ა) ხაზინის, ბ) იმათ, ვინც ასრულებს სახელდოსნოს გამგეობის რომელიმე ფუნქციას (მოურავები), გ) ვისაც წილი უდევს ხაზინის მოგებაში, დ) იმ მუშებს, რომლებიც გაფიცულების ალაგს დაიქვრენ, აგრეთვე იმ მუშებსაც, რომლებიც კავშირს სახელს უტეხს თავის უზნეობით ან სხვა გვარათ (რასაკვირველია, გასწორებამდის).

§ 9. ა) ვინც იღებს თვეში არა ნაკლებს 20 მანეთისა,

მას ერთ-დროული საწევრო ფული შემოაქვს ერთი მანეთი; ბ) ვინც 20 მან. ნაკლებს—50 კაპ., გ) ყოველთვიური საწევრო შემოსატანი არის ჯამაგირის 2¹/₆.

§ 10. ყველა წევრს თანასწორი უფლება და მოვალეობა აქვს. არჩევნების დროს—ამრჩეველს და ასარჩევს,—თითოს—თითო ხმა, რომლის გადაცემა სხვაზე არ შეიძლება.

§ 11. ახალი წევრების მიღება და გამორიცხვა წევრისა გამგეობის საქმეა—რაზედაც ის საზოგადო კრებას მოხსენებას უდგენს.

§ 12. წევრი, რომელსაც ორი თვის განმავლობაში თვიური შემოსატანი არ მიუტია, კავშირიდან ირიცხება;—შემდეგ, როცა შემოიტანს გასულ თვეებისას, ისევ უნდა იქნეს მიღებული.

§ 13. გამგეობას აქვს უფლება დაითხოვოს უზნეო და კავშირის ინტერესების მავნებელი წევრები, რომელთაც შეუძლიათ გაასაჩივრონ, თუ კი უკმაყოფილო იქნებიან, გამგეობის დადგენილება საზოგადო კრებაზე.

§ 14. გასულ და გამორიცხულ წევრთ მათ მიერ შემოტანილი ფულები არ უბრუნდება.

V. კავშირის გამგეობა.

§ 15. კავშირს ვანაგებს კავშირის ბიურო, რომლის წევრები პირდაპირ უნდა იქმნენ არჩეული საზოგადო კრებაზე:

შესიშვნა 1. თუ პირდაპირი არჩევნები გასაქირია, შეიძლება მოხდეს არაპირდაპირი—ორსართულიანი.

შესიშვნა 2. ამრჩევლთ ყოველთვის შეუძლიათ უკან გაიწვიონ თავიანთი წარმომადგენელი და ახალი აირჩიონ, თუ ამას უმრავლესობა თხოულობს.

§ 16. კავშირის ბიურო უძღვება კავშირის ყოველდღიურ საქმეებს და საზოგადოთ ხელმძღვანელობას უწყევს მას საზოგადო კრების გადაწყვეტილების ფარგლებში;—ადგენს უმუშევართა დამხმარებელ კომისიას, ფინანსურ კომისიას, პროფესიონალურ კომისიას და სხვ.

§ 17. ყოველივე თავის მოქმედების შესახებ ბიურო ანგარიშს აძლევს საზოგადო კრებას.

§ 18. ბიურო ირჩევა სამი თვის ვადით.

§ 19. ბიუროს ჩვეულებრივი კრებები ხდება კვირაში ორჯერ. არარჩეულეებრივი—ბიუროს 1/3 ან კავშირის 10 წევრის წინადადებით.

§ 20. საზოგადო კრებები ხდება თვეში ორჯერ: ბიუროს ანგარიშის მოსასმენათ, მოხსენებების გასარჩევათ, ბიუროსათვის ინსტრუქციების მისაცემათ და სხვა.

საზოგადო წესები.

§ 21. საზოგადო ან ბიუროს კრება კანონიერია, თუ მას წევრთა 2/3 დაესწრო.

§ 22. კავშირის ყველა დაწესებულებებში კითხვები წყდება ხმის უბრალო უმეტესობით.

§ 23. კავშირის დაშლას და ყოველივე მის საქმის ლიკვიდაციას სწყვეტს საზოგადო კრება.

შესიშვნა. იგივე კრება ირჩევს სალიკვიდაციო კომისიას, ან კომისიას; კავშირის ახალ წესებზე მოსაწყობათ.

რ უ ს ე მ ი.

მუშათა კანონმდებლობის გადასინჯვის შესახებ თათბირი. 20 დეკემბერს მოხდა კრება მუშათა კანონმდებლობის გადასინჯვის თათბირის შესახებ. ამ კრებაზე განიხილეს „დაქირავე-

ბნს წესის“ შესახებ საკითხი, დიდი კამათი გამოიწვია სავაქრო-სამრეწველო სამინისტროს „ძირითად დებულების“ მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მუხლებმა, რომლებიც ეხება გაფიცვებს, დაქირავების ხელშეკრულობის დარღვევის პირობებს და ფაბრიკის შინაგან წესრიგს. ფაბრიკანტები ძალიან გულ-მოსული არიან სამინისტროს კანონ-პროექტით და თავიანთ ეუბნებიან მინისტრს, რომ სამინისტრომ საქმის ვითარება არ იცის და კიდევაც იმიტომ შეიმუშავა ასეთი კანონ-პროექტიო. ყველაზე მეტად თავგამოდებით იცავს ხაზინების მხარეს და კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს სამინისტროს კანონპროექტს ისევ ის „პეტერბურგის ფაბრიკა-ხაზინების პატრონების კავშირი“, რომელმაც ხელა გმირ გლენზმერის მაგიერ მეორე უფრო თავდადებული მებრძოლი ვერბიცი წამოაყენა. მეხუთე მუხლის განხილვის დროს, სადაც ნათქვამია, რომ „დაქირავების ხელშეკრულება შეიძლება დაუყოვნებლივ დარღვეულ იქნეს ფაბრიკის ან ხაზინის გამგეობისაგან იმ პირობების გამო, რომლებიც იძულებულს ყოფნენ მას, ვეღარ მისცეს მუშას სამუშაო“, — ვერბიცი არ დაკმაყოფილდა ამით და მოითხოვა, შეეტანათ შიგ სიტყვა „უარის თქმა“ „დათხოვნა“ (სამუშაოდან); მეორე მხრით, პროფ. იაროცკიმ და ოზეროვმა მოითხოვეს, ნათლად გარკვეულიყო ის პირობები, რომლების დროსაც შეეძლო ხაზინის მუშების დათხოვნა, რადგან, თუ ასე დარჩა, მაშინ ხაზინებს შეუძლიათ ეს მუხლი პირდაპირ თავიანთ სასარგებლოთ გამოიყენონ და როგორც უნდა, ისეთი ახსნა მისცენ და როცა უნდათ, მაშინ დაითხოვონ მუშებიო. ოზეროვის სიტყვით, უბრალო გაფიცვა საკმარისი იქნება, რომ მეხუთე მუხლის თანახმად, ხაზინებმა ქუჩაში გამოაუძახონ მუშებს.

ვერბიციმ სთქვა: „მაქვს პატივი ვუბახუბო პროფ. ოზეროვს, რომელიც, მისი აზრით, უაზრო გაფიცვების მომხრეა“. გაფიცვები მოფიქრებული და აზრიანი უნდა იყოს, როცა მუშები იფიცებიან, როგორც ეს საფრანგეთში ხდება, საში დღით წინათ უნდა შეატყობინონ ფაბრიკანტს, რომ იმანაც „მოიფიქროს“. შემდეგ ფაბრიკანტებმა საბუთათ მოიყვანეს სენატის სხვა-დასხვა განმარტებები, სადაც სხვათაშორის, მოხსენებულია, რომ გაფიცვის დროს მუშებს სამუშაო ქირა არ უნდა მიეცეს და სხ.

ჩა ხატება ლომში? ლომში საიშარი ამბები ხდება: აღვირ წახსნილი ხაზინების აღაგმეა ვერავითარმა ძალამ ვერ შესძლო. დაიწყო ლოკაუტი. ლოკაუტს თან მოყვა მუშების ქალაქიდან გაძევება და სხვა რეპრესიები. აქციონერულ საზოგადოების ფაბრიკის დირექტორს, პოზნანსკის, 20 დეკემბერს დებეშა მოუვიდა ბერლინიდან, სადაც ის გადაქრით სწერს: დაითხოვე საზოგადო რიცხვიდან ყოველი მეხუთე მუშა და, უკეთუ ამაზე არ დათანხმდენ, სულ ყველანი დაითხოვე. დირექტორმაც სისრულეში მოიყვანა ბრძანება და, რადგან მუშები გააფიქტდენ, ყველას ქუჩაში გამოაუძახა. ამჟამათ ლომში 100 ათასი მუშაა უსაქმოდ დარჩენილი.

გაჩეთ „რუს“-ის ბოიკოტი. ბექდვითი სიტყვის მუშათა კავშირის გამგეობამ გამოაცხადა, რომ, რადგან ვაზ. „რუსი“-ს გამოცემულმა ა. ა. სუგორინმა დაარღვია გასული წლის მისში მომხდარ სამედიატორო სასამართლოს განჩინება მის და კავშირებს შორის, გამგეობა, ვაზეთ „რუს“-ზე კარქტორებისა, ასოთ-ამწყალებისა, შემანქანეთა და სხვების

მუშაობას ბოიკოტს უცხადებს და მოუწოდებს ვაზეთის თანამშრომლებს, — შეეფერდენ ბოიკოტს და არაფერი დასწერონ ორშაბათის ნომერში.

ბექდვითი საქმის მუშათა სრულად რუსეთის კანფერენციის დღეორ წესრიგის პროექტი: 1) ადგილობრივი საორგანიზაციო კითხვები; 2) შეკავშირება მუშების ოლქებათ და მთელ რუსეთში: ადგილობრივი კავშირი საოლქო და სრულიად რუსეთის. ერთი ოლქის კავშირების დამოკიდებულება. საოლქო ცენტრი. კასის მოწყობა. თანადებობის პირობები. დრო-გამომკვებით სივრდები, სავთაშორისო დამოკიდებულება. ტაქტიკური კითხვები შემდეგია: ტარიფის შესახებ, გაფიცვები, ბოიკოტი, ხაზინებთან შეთანხმების საშუალებები. საზოგადო კითხვები: კავშირების დამოკიდებულება პარტიებთან, პირველი მისი, კავშირების დამოკიდებულება სახელმწიფო დუმასთან, კავშირების სრულიად რუსეთის სივრდი, ბექდვითი საქმის მუშათა სრულიად რუსეთის ორგანო და სხვა. კონფერენცია 1907 წლის თებერვლის შუა რიცხვებში მოხდება.

ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა .

დღინანია, რაც საზოგადოება ორ უმთავრეს მოწინააღმდეგე ბანაკათ იყო და არის გაყოფილი: მჩავერელი და დაჩაგრული, გამყვლეფელი და გაყვლეფილი, მონა და მონის უფალი, ყმა და ბატონი, — აი, რა არის გასული ცხოვრების დამახასიათებელი.

მაგრამ, დღევანდელმა კაპიტალისტურმა წარმოებამ საზოგადოების გაყოფა უმწვერვალეს ხარისხამდე მიიყვანა და მათ შორის გაუვალი ორმო გათხარა. მან, ერთის მხრით, ხელიდან გამოგლიჯა მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას ყოველგვარი ცხოვრების სახსარი, ბედის ანაბარა ქუჩაში გაიწროლა და თან უანჯრბა შიმშილი, სიცივე, სიღატაკე, ტიჩილი და გოდება; ხოლო, მეორეს მხრით, ერთ მუქა ბურჟუა-კაპიტალისტებს ხელთ უგდო მთელი სიმდიდრე, მთელი ცხოვრების სახსარი და თან დაულოცა მას: ფუფუნება, განცხრომა, ნებიერობა, გიჟური დროს გატარება და უანგარიშოთ სიმდიდრის ფლანგვა. მან, ერთის მხრით, უმაღლეს ხარისხამდე მიიყვანა შრომის ნაყოფიერება, საწარმოვო ძალთა განვითარება, მაგრამ ამავე დროს თითქმის მთელი საზოგადოება, ვარდა ერთ მუქა კაპიტალისტებისა, წარმოუდგენელ გაქირვებაში ჩააგდო, მოსპობისა და გადაწვნების გზაზე შეაყენა.

ამინათ, კაპიტალისტურმა წარმოებამ მუშათა კლასს წინ დაუყენა გადასაწყვეტათ მეტათ რთული და დიდი ამოცანა: ან გახრწნა და გადაშენება მთელ საზოგადოებისა და ან კაპიტალიზმის მოსპობა და სოციალისტური წარმოების დაწყებაო. მუშათა კლასის მოწინავე ნაწილმა კარგა ხანია რაც შეიგნო ეს ამოცანა და ბრძოლას ეწევა მის გადასაწყვეტათ. დიახ, მან შეიგნო, რომ კერძო საკუთრებაზე დამყარებული მსხვილი წარმოება ანუ კაპიტალისტური წარმოება მიზეზია დღევანდელ საზოგადოების აუტანელ მდგომარეობისა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა მის მოსასპობათ და სოციალიზმის განსახორციელებლათ. არ სძინავს ბურჟუა-კაპიტალისტებსაც; ისინი უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებენ და გააფთრებით იცვენ არსებულ კაპიტალისტურ წარმოებას.

რადგან ამის არსებობაზე დამოკიდებული მათი ბატონობა, ფუფუნება და განცხრომა.

ამნაირათ, ყველა განათლებულ ქვეყნებში გაჩაღებული ბრძოლა წარმოებს დამწავრლთა და დაჩაგრულთა შორის, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ეს ბრძოლა შედგენს დღევანდელ საზოგადო ცხოვრების მთელ შინაარსს და, რაც დრო გადის, რაც უფრო ღრმავდება ორმო მუშათა და ბურჟუაზიულ კლასებ შორის, და, ამასთანავე, რაც უფრო ცნობიერდება მუშათა კლასი, იმდენათ ბრძოლა მწვავე ხდება, იმდენათ ახლოვდება საათი კაპიტალისტურ წარმოების მოსპობისა. ამას ხელავე ბურჟუაზია და, თოფ-ზარბაზნებს გარდა, სხვა საშუალებასაც მიმართავს ხოლმე: ის ცდილობს, ერთის მხრით, სხვა-და-სხვა რეფორმების საშუალებით, შეამსუბუქოს კაპიტალისტური წარმოებით გამოწვეული მწვავე ტკივილები, ხოლო, მეორეს მხრით, დააბნელოს პროლეტარიატის კლასიური შეგნება და მოაჩვენოს მას, რომ კაპიტალისტური წარმოება თვითონვე სპობს თავისავე წარმოშობილ წინააღმდეგობას, მაგალითათ, კაპიტალისტებს აღარიბებს, ხოლო მუშათა კლასს ამდიდრებს და სხვა. ამნაირათ სურთ დაარწმუნონ მუშათა კლასი, ვითომ კლასთა წინააღმდეგობა თან-და-თან ნელდებოდეს და ამიტომ არც საკირო იყოს მისი, კაპიტალისტური წარმოების მოსპობა. მაგრამ ბურჟუაზიის ამგვარი ცდა ფუქია და ყალბი. პირ-იქით, სინამდვილე გვიტყობს, რომ მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებიან.

ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, სტატისტიკური ცნობებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მუშათა კლასი სხვა ქვეყნებზე შედარებით უკეთეს პირობებშია, 1840 წელს თავის შექმნილ ღირებულებიდან მუშათა კლასი ღებულობდა 51 პროცენტს, ე. ი. ყოველ ას მანეთზე 51 მანეთს, ხოლო 1890 წელს, ორმოცდა ათი წლის შემდეგ, 45 პროცენტს, ე. ი. ყოველ ას მანეთზე 45 მანეთს,—დანარჩენი კი კაპიტალისტებს რჩებოდათ... როგორც ხედავთ, მუშათა კლასის ხვედრ ნაწილს მომატების მაგივრათ მოუკლია, ექსპლუატაცია გაძლიერებულა.

ამნაირათ, ამერიკაში ღარიბები შედარებით კიდევ უფრო ღარიბდებიან, ხოლო მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან.

თითქმის ასეთსავე სურათს ვხედავთ ინგლისშიაც: 1861 წელს ინგლისის მთელი შემოსავალი ყოფილა 832 მილიონი გირვანქა სტერლინგი (სტერლინგი ათ მანეთს უდრის), აქედან მუშათა კლასი ღებულობდა 388 მილიონს; ხოლო 1891 წელს შემოსავალი ავიდა 1600 მილიონზე, თითქმის ერთი-ორათ გაიზარდა, აქედან მუშათა კლასი ღებულობდა 607 მილიონს, დანარჩენს კი,—993 მილიონს—კაპიტალისტები. მაშ, აქაც მდიდრების ხვედრ ნაწილს შედარებით უფრო უმატდა, ვინემ მუშათა კლასისას.

ამასვე ამტკიცებს საფრანგეთში 1890 წელს შეკრებილი ცნობები: ბურჟუაზია ღებულობდა 22 მილიარდ მარკამდე,— მუშათა კლასი, გლეხ-კაცობას და ხელოსნებს, მიუღიათ 12 მილიარდი, ე. ი. მთელი წლიურათ შექმნილ სიმდიდრის თითქმის ერთი მესამედი, ხოლო მდიდრებს თითქმის ორი მესამედი: ამას გარდა, სტატისტიკური ცნობები გვეუბნება, რომ კაპიტალისტთა შორის ძლიერ მდიდართა რიცხვი შედარებით უფრო იზრდება, ვინემ საშუალო და ნაკლებ მდიდართა რიცხვი. მაგალითათ, ინგლისში, 1843-დან 1880 წლამდე შეძლებულთა რიცხვი, რომელთაც წლიური შემო-

სავალი 500-დან 5 ათასამდე გირვანქა სტერლინგი ჰქონია, ერთი-ორათ გაზრდილა, ისეთების რიცხვს, რომელთაც 5 ათასიდან 10 ათას გირვანქამდე ჰქონია შემოსავალი, ერთი-სამათ მოუმატნია, მდიდრებს, რომელთაც წლიურათ 10 ათასიდან 50 ათასამდე შემოსავალი ჰქონიათ ერთი-ოთხათ უმატნია; ხოლო ძალიან მდიდრებს, ანუ მილიონერებს, რომელთაც 50 ათას გირვანქაზე მეტი წლიური შემოსავალი ჰქონია, რვაჯერ უმატნია. ნუ დაივიწყებთ, რომ ამავე დროს მუშის წლიური შემოსავალი 31 გირვანქაზე ძლივს აღიოდა.

ასეთია ცნობები სხვა ქვეყნების შესახებაც. პრუსიაში, მაგალითად, მეტს განსხვავებასაც ვხედავთ, იქ 1846 წლიდან 1873 წლამდე მსხვილ მდიდართა რიცხვს, რომელთაც 200 ათასი ტალერი შემოსავალი აქვთ, 21-ჯერ უმატნია.

ამნაირათ, ცნობები და სინამდვილე ჩვენ გვიტყობს, რომ სიმდიდრე მატულობს და იზრდება, მაგრამ ეს სიმდიდრე მდიდრების ხელში იყრის თავს და არა მუშების ხელში, როგორც ამას ბურჟუაზიის დამცველები გაიძახიან. დიახ, მდიდრები კიდევ უფრო მრავლდებიან და მათი სიმდიდრე კიდევ უფრო იზრდება, ხოლო ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებიან და მათი მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება. ამასვე ამტკიცებს შემდეგი სტატისტიკური ცნობებიც:

უკანასკნელ წლებში ყოველ ქვეყანაში მატულობს უკიდურესი სიღარიბე-მათხოვრობა, რომელსაც პაუპერიზმს ეძახიან. ინგლისის ცენტრალურ საგრაფოებსა და ლონდონში, ამ უმდიდრეს ქვეყანასა და ქალაქში მთელი დედამიწის ზურგზე, პროლეტარიატის 40-დან 45 პროცენტი სიბერის დროს იძულებულია მოწყალეობით ირჩინოს თავი. იგივეა საფრანგეთის სატახტო ქალაქ პარიზში: 1886 წლიდან 1891 წლამდე, ე. ი. 5 წლის განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვს მოუმატნია მხოლოდ 4 პროცენტი, მათხოვართა რიცხვს კი — 21 პროცენტი.

ასეთია პროლეტარიატის მდგომარეობა არა მარტო პარიზში, არამედ მთელ საფრანგეთშიაც. ასეთსავე სურათს ვხედავთ სხვა ქვეყნებშიაც, მაგალითათ, ბელგიის სატახტო ქალაქ ბრიუსელში 1875 წელს ერთი მათხოვარი მოდიოდა ყოველ ცხრა კაცზე, 1894 წელს-კი ყოველ ოთხ კაცზე; როგორც სჩანს, ბრიუსელის მცხოვრების ერთი მეოთხედი იძულებულია მოწყალეობას ხელი გაუშვიროს. ანდერლექტში კი (ბელგიაში) 1875 წელს ერთი მათხოვარი მოდიოდა ყოველ 35 კაცზე, ხოლო 1894 წელს—ყოველ 8 კაცზე, ე. ი. 1/4 წლის განმავლობაში ლატაკთა რიცხვს ოთხჯერ უმატნია.

აქ ჩამოთვლილ მაგალითებიდან აშკარაა, რომ მუშა ლატაკდება და სიღატაკე უფრო სწრაფათ იზრდება, ვინემ მცხოვრებთა რიცხვი და სიმდიდრე. აი ეს სიღატაკის ზრდაა ერთი უდიდესი მიზეზი სხვა-და-სხვა დანაშაულობათა გაძლიერებისა, რაზედაც მჭევრმეტყველურათ ლაღადებენ ყველა ქვეყნის ცნობები. იგივე სიღატაკე აიძულებს პროლეტარიატის ოჯახის ყველა წევრებს—ქალებსა და მცირე წლოვანთ, დასტავონ ოჯახი და ზაზარში გავიდნენ სამუშაოს საძებნელათ, თავის გასაქირავებლათ.

ხშირათ ბურჟუაზიის დამცველები უთიფებენ იმ გარემოებაზე, რომ უკანასკნელ ხანებში სამუშაო დღე თანდათან მოკლდება და ხელფასი მუშებისა მატულობს. მართალია, მაგრამ ეს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას არ ნიშნავს ვინ არ იცის ახლა, რომ სამუშაო დღის შემოკლება შრომის შემცირებას არ ნიშნავს. თუ, ერთის მხრივ, სამუშაო დღე

მცირდება, მეორეს მხრივ, შრომა კიდევ უფრო ინტენსიური ხდება, შრომის განაწილებისა და მანქანების წყალობით. ასე რომ, მუშა მოკლე ხანში მეტს ენერჯიას, მეტს სამუშაო ძალას ხარჯავს, ვინემ წინეთ გრძელი სამუშაო დღის განმავლობაში. რაც შეეხება ხელფასის მომატებას, ამაზე უნდა შევნიშნათ შემდეგი: ხელფასის შესაძენვეთ მომატება საერთო მოვლენა არ არის, უმეტეს შემთხვევაში ხელფასის მომატება ხდება იმ მუშათა წრეებში, რომელნიც ორგანიზაციულათ შეკავშირებულია, ხოლო ჩვენ ვიცით, რომ შეკავშირებული არ არის მთელი პროლეტარიატის მეხუთედიც კი. ამას გარდა, ხელფასის მომატება მდგომარეობის გაუმჯობესებას არ ნიშნავს ყოველთვის, რადგან ცხოვრების სიძვირე უფრო იზრდება, ვინემ ხელფასი. მაგალითათ, უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში საფრანგეთში ხელფასმა იმატა 17 პროცენტი, ცხოვრება-კი 23 პროცენტით გაძვირა დალის ხარჯვა ზედმეტ ბოა ისიც, რომ ზედმეტი სამუშაო ძალის აღსადგენათ. ასე რომ, თუ, ერთის მხრივ, თითო-ორილა კაპეიკი ემატება სამუშაო ხელფასს, სამაგიეროთ, კიდევ უფრო ძვირდება ცხოვრება და სამუშაო ძალის ხარჯვაც მატულობს. ამას მიუმატეთ ისიც, რომ უმუშევართა რიცხვი დღით-დღე იზრდება ყველა ქვეყანაში, ხოლო უმუშევრობა მუშებისათვის ნიშნავს შიმშილისაგან სიკვდილს.

მივიღოთ აგრეთვე მხედველობაში ისიც, რომ მოთხოვნილება საზოგადოთ იზრდება; მდიდრებს საშუალება ეძლევა ერთი-ორათ და ერთი-ოთხათ დაიკაყოფილონ მოთხოვნილება, მუშები-კი იძულებულია მომატებულ მოთხოვნილზე ბაზე ხელი აიღონ.

ამნაირათ, მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული ორმო კიდევ უფრო ღრმავდება, მდიდრები და ღარიბები კიდევ უფრო შორდებიან ერთმანეთს. ხსნა მხოლოდ კაპიტალისტურ წარმოების მოსპობაშია.

მაშ, მუშათა კლასის ბრძოლას კაპიტალისტურ წარმოების ფარგლებში თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ თავი იხსნას ფიზიკურ და ზნეობრივ გაღაშენებისაგან.

აი, რას ამბობს ამ ბრძოლის შესახებ რუსეთის გამოჩენილი სხუც-დემოკრატი: „პროლეტარიატი იმ კაცის მდგომარეობაშია, რომელნიც წყლის მიმდინარეობის წინააღმდეგ მიტურავს; რომ მისცეს თავი მიმდინარეობას; მაშინ იმას წყალი სისწრაფით გააქანებდა ქვევით და ძან შორს წაიდებდა; მაგრამ ის ცდილობდა ზევით წასვლას, ამიტომ მიმდინარეობამ ცოტათი დააქანა ქვევით და ისე შორს ვეღარ წაიღო, მაგრამ მიმდინარეობამ მაინც დააქანა ის ქვევით“.

ასეთია მუშათა კლასის მდგომარეობა დღევანდელ კაპიტალისტურ წარმოებაში. ის ებრძვის კაპიტალისტურ წარმოების ცუდ მხარეებს, მაგრამ კაპიტალისტური წარმოების გამაზნადგურებელი ტენდენცია უფრო ძლიერია; ამიტომ მუშათა კლასი თავისი ბრძოლით ცოტათი მაინც ფრთებს აკვეცს განმანდგურებელ ტენდენციას და მით გადაშენებიდან თავს იხსნის, და მასთან ერთად ძალას და ღონეს იკრებს კაპიტალისტის მოსასპობათ და სოციალიზმის განსახორციელებლათ.

კავშირებში.

ამას წინეთ „ახალ დროებაში“ (N 4—რუსეთი) დაბეჭდილი იყო სრულიად რუსეთის ბეჭდვითი საქმის მომუშავე-

თა კონფერენციის მომწვევი ორგანიზაციული კომისიის ანუ წოდება კითხვებით კავშირებისადმი. ამ კითხვებზე პასუხს იძლევიან ბათუმიდან. აი, ეს პასუხიც:

1. ბათუმის ბეჭდვითი საქმის წარმოებაში ირიცხება სულ 45 მუშა.
2. პროფესიონალური კავშირი დაარსდა 1 დეკემბერს, 1906 წ.—არაღვებულურად, მხოლოდ ვცდილობთ ნებართვის აღებას.
3. კავშირში ჩაწერილია 26 წევრი, რომელნიც იხლიან საწევრო გადასახადს.
4. მართველობა შესდგება 6 კაცისაგან: თავმჯდომარე კასირი, სეკრეტარი და სამი სხვა წევრისაგან.
5. არ არის.
6. არ არის.
7. საზოგადო კრებები ხდება.
8. კასაში ნაღდი ფული არის 100 მ. და თვიური შემოსავალი 15 მანეთი.
9. კავშირის წევრთა შესატანი წლიური 1 მანეთი, თვიური მანეთზე კაპეიკი.
10. ბათუმში ბეჭდვითი საქმის ყველა პროფესიები ერთებული არიან.
11. არა.
12. არა.
13. კასა დანაწილებულია შემდეგნაირად: გაფიცვისათვის 60 პროც. და 40 პროც. კი სხვა საქირიებისათვის.
14. უსაქმოდ დარჩენილი 4 კაცია.
15. არ არსებობს.
16. არ არის.
17. არ არის.
18. არის ამორჩეული ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობს მუშების ალაგზე დაყენებას.
19. ჯერ არა გვაქვს, რადგანაც ახლად დავაარსეთ.
20. არაფერი გაფიცვები არ ყოფილა ამ წ თვის განმავლობაში, გარდა ერთი სტამბის გაფიცვისა, რომელიც მარცხდა.
21. როდესაც გაფიცვა მოხდა, მაშინ კავშირი არ სებობდა.
22. არაფერი არ დაუხარჯავს.
23. ჯერ არ ყოფილა ხაზინებისაგან ლოკაუტები.
24. არა.
25. ბათუმში არ არსებობს მუშათა არავითარი საერთო დამხმარებელი კასები ჯერ-ჯერობით.
26. } ურთ-ერთ დამხმარე კასა არ არსებობს.
27. }
28. }
29. ჯერ არაფერი ეურნალი და არც ფურცლები გვიცია, რადგანაც კავშირი ახლად დაარსებულია.
30. კავშირის დაარსების შემდეგ არავინ დაუტყმდა არც გაუზგავნიათ.
31. ტარიფს მომუშავენი არ აწესებენ.
32. ხაზინები იცნობენ ჩვენს კავშირს.
33. მიმორიგებელი კამერა გვაქვს და შედგება საგან.
34. კვირაობით დასვენება არსებობს.

კავშირის ბიუ

ჩვენ მივიღეთ თბილისის ლუდის-მხარშველ პროფეს. კავშირის საბჭოს რეზოლიუცია:

„ვემხრობით:რა მკერვალთა დადგენილებას, ზიზღს უცხადებთ იმ ხაზინებს, რომლებიც უსინდისოთ ფეხ-ქვეშ თელავენ მუშების პატიოსან მოთხოვნილებას,—და იმ მუშებსაც, რომელთაც თავის შეგნებით თუ შეუგნებლობით დაურღვევიათ მუშების სოლიდარობა და უმუშაოთ. თქვენ-კი, გაფიქსულნი ამხანაგებო, მაგრათ იღქით თქვენს მოთხოვნებზე.“

ჩვენ-კი, როგორც ახალ დაარსებული კავშირი,—გიგზავნით 10 მანეთს არა იმიტომ, რომ ამით თქვენი გიქირებვისაგან გამოხსნა გვენდოდეს, არამედ იმიტომ, რომ იგრძნონ მსუნაგ ხაზინებმა,—თქვენ მარტო მარტო კი არა ხართ ბრძოლის ველზე,—არა, თქვენთან ერთად თბილისის პროლეტარიატია...“

მაშ, მედგრათ იბრძოლეთ, ამხანაგო—მკერვალებო!

რ ე დ ა ქ ც ი ს ა ვ ა ნ .

„ზარის“ მე № 6-ში უკანასკნელ გვერდზე—სტატიაში—„რედაქციისავან“ ნათქვამია: „იმავე ნომერში „ახ. დრ“-ის რედაქცია გვიკითხნებს მოსამსახურეთა საბჭოს გინებას და დემაგოგობას. ეს ცარიელი სიტყვებია! საბუთი?“ ჩვენ გვეგონა თავისთავად ცხადი იყო საბუთი, როცა ჩვენს წერილში უნენ-ნეთ „ზარის“ № 4-ის პირველი გვერდი,—სადაც სხვათა შორის სწერია: „ჩვენ არ ვიცით, რას მიაჯწოთ ასეთი საქციელი: უმეგრებს თუ ბორატ განზრახვას? ყოველ შემთხვევაში სამწუხაროა, რომ ასეთი საქციელის ჩამდენი მთელ კავშირს სეღმადგანელობენ.“ ნუ-თუ ეს არ არის „სხვისი გინება და დამდაბლება“ და მათზე თავის-მართლების აშენება? ამას კომენ ჭარებიც არ სჭირია... ვისაც მართლა სურს სინამდვილე და ქვემარტება გაიგოს, კიდევ წაიკითხოს ორივე მხარეს შენიშვნები, ასწონ-დასწონოს და ისე დასდოს მსჯავრი. ჩვენ-კი მეტი „ლათაიებისათვის“ არ გვცალია და არც მკითხველების ყურადღებით გვინდა ბორატთა ვისარგებლოთ... ურჩევთ „ზარის“-ც აიღოს ხელი ამაზე და სხვა უფრო საინტერესო დროის საკითხს მიაქციოს ყურადღება. თუ არა, გამოდას, რომ „ზარი“ არამც თუ თავის თანამშრომელ კირილეს, არამედ თავისთავსაც სულ-მთლად წერის განუხაზღვრელ თავისუფლებას ანიჭებს...“

მით უფრო ვალდებულია ასე მოიქცეს „ზარის“ რედაქცია, როცა ასე რყევით ნდობა აქვს თავის თანამშრომელ კირილესი, რომ ვერ გაუბედია სთქვას—არც დათანხმება (ჩვენი, რომ კირილემ იცრუა) და არც არ-დათანხმებაო. ეს წაჯექ-უჯექობა და ორ სკამზე ჯდომია, რაც არაფერი მხრით არაა მოსაწონი, მით უფრო ბეჭდვითი სიტყვის „მეთაურთაგან“, როგორებიც უნდა იყვენ რედაქციის წევრნი...“

კიდევ ვიმეორებთ,—კინკლაობას თავი ანებონ ამხანაგებმა და საქმეს, ნამდვილ საქმეს მოკიდონ ხელი...“

ლია წაბრილი „ზარი“ რედაქციას.

ახს. რედაქტორო!

რადგან ვაზეთი იმ უსწორ-მასწორობის გამასწორებელია, რომელიც მეთაობს შეუგნებელ ხალხში, ამისათვის უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს მკირე წერილს თქვენს პატივცემულ ვაზეთის მახლობელ ნომერში.

წაეკითხე თქვენი-მიერ ქვეა-ქუხილით სავსე წერილი ჩემსა

და „ახალი დროების“ წინააღმდეგ, სადაც იცავთ თქვენს თანამშრომელ კირილეს*).

რედაქცია ამბობს: „ჩვენ ვიცნობთ ჩვენს თანამშრომელს კირილეს და ჯერ-სანამ ჩვენთვის არ დამტკიცებულა მისი ცნობის სიყალბე და მის-მიერ მოსამსახურეების კავშირის განზრახ დამცირება, მანამ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მას ან არ დავეთანხმოთ“. მაკვირვებს, პატივცემულო რედაქცია, თქვენი ასეთი ვიწრო შეხედულება ადამიანებზე. ეს თქვენი საქციელი მაგონებს ბიუროკრატიულ სამსჯავროს, რომელსაც არ უნდა, რა დანაშაულიც უნდა მიუძღოდეს მაინც, გამტყუნდეს მის მოსამსახურე-მოხელე ხალხის შესახებდავით.

მაკვირვებს, პ. რედაქცია, თქვენი ასეთი ცალმხრივი მსჯელობა. თუ თქვენი თანამშრომლის წერილის სიმართლეში არა ხართ დარწმუნებული, რა უფლება გაქვთ ან ზნეობრივი, ან იურიდიული, რომ მიკვირებთ—„სტყუი“-ო. თქვენ ამბობთ: „ნიკოიეს წერილი ცარიელი სიტყვებია, საბუთიც ნიკოიეს წერილია „ახ. დროების“ რედაქციისათვისო!“ ამას, პატივცემულო რედაქცია, სიმონე აბუსერიძეც არ იტყვის*). თუ თქვენი რედაქცია თავის თანამშრომელს კირილეს ენდობა, თუშეა—რყევით;—ნუ-თუ „ახ. დროების“ რედაქცია არ უნდა მენდოს მე? სამწუხაროა რედაქციის ასეთი შეხედულება ამა თუ იმ სავანზე! ჩავვიჩინებთ: „საბუთიო!“ არ ვიცი, ღმერთმანი, რას ეძახით თქვენ საბუთს? ზეციდან ხომ ვერ ჩამოვიღებ, პ. რედაქცია, თქვენთვის საბუთს და ამ ქვეყნიური საბუთი თქვენ ვერ გაკმაყოფილებს. რედაქცია მთელი ამ სიტყვის მნიშვნელობით უნდა ემსახურებოდეს სიმართლესა, ის-კი ამბობს: „ნიკოიეს წერილი „ზარის“ რედაქციის, კირილეს და მის დამკავშირების წინააღმდეგ არის მომართულიო“. ჩემი წერილი, თქვენი შეხედულებით, სავსეა ათასგვარი ცილის-წამებით, ყოველად მოურიდებლად ათასგვარი სიცრუითა და მოპირდაპირის ქუხვური გაბიბრებებით. წერილი აშკარათ მიმართულია ჩვენი ვაზეთის რედაქციის წინააღმდეგ; სწუხართ და ამბობთ, „რადღაც ამ ნომერში ადგილი აღარ გვჩრება, ამიტომ ვერ ვახერხებთ, ესლავე ფარდა ავხადოთ „ნიკოიეს“ შეუწყნარებელ საქციელს და გავაწნოთ მკითხველს საქმის ვითარება,—აქ მხოლოდ უნდა აღენიშნოთ ის სამწუხარო ფაქტი, რომ „ახალი დროების“ რედაქცია აყოლია „ნიკოიეს“ ფეხის ხმას და წერის თავისუფლებას ანიჭებს მასო!“... მაკვირვებს, პ. რედაქცია, თქვენი ასეთი შეხედულება ჩემზე. „ლაქიას“ რომ ვაწერ ფსევდონიმით იმისთვის ხომ არ გაქვთ ასეთი შეხედულება ჩემზე? ნუ თუ თქვენი კირილე შეუტელომელ ანგელოზად გეჩვენებათ, და მე,—თქვენი უმორჩილესი მონა, თქვენი თანამშრომლის მიერ დამცირებულ „ლაქიათ“. სამწუხაროა, სამწუხაროა! სწორეთ, სწორეთ! მე არ მაქვს წერის თავისუფლება, თორემ თქვენ ვინ დაგიშლის!.. წერის თავისუფლება რომ გაქვთ, ამისათვის ყველაფრის წერა არ შეიძლება, პ. რედაქცია! თქვენს ჩემზე მოტანილს იერიშს მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, რომ ერთი იოტის ოდენა საბუთი მოგყავდეთ ჩემს წინააღმდეგ! სწორეთ, სწორეთ! სიმართლე თავისას გაიტანს!

თქვენ ცდებით, პატივცემულო რედაქცია, თქვენი თანამშრომელთან ერთათ. კიდევ გაგიმეორებთ—ათასჯერ ცდევ

*) იხ. „ზარი“ № 6.

*) სიმონე აბუსერიძე შეუგნებელი გლეხია გურიაში, რომელიც თავის შეუგნებლობით საზოგადოებას მასალას აძლევს ხშირათ მოიხსენიოს. ის ხუმრობის კილოთი მსჯელობის დროს. ავტორი.

ბით, როცა თქვენს კირილზე ასეთი ფართო შეხედულება გაქვთ და სხვაზე არა... ეს არ შეფერის რედაქციას! აქ თქვენ „ნეიტრალიტეტს“ უნდა იცავდეთ და არა ერთი მხრით სჯიდეთ...

რადგან ეს ასეა, რომ ჩვენი მკითხველი საზოგადოება ჩვენი კინკლაობით არ შეეფერებოდა და ასეთ დროს მკითხველებს დრო არ დაუკარგოთ, ამისათვის გიწვევთ მთელს რედაქციას, კირილსთან ერთად, სამედიატორო სამართალში. ჩვენ-მიერ დასახელებული მედიატორები ვამოაკრევევთ სამივეს, ე. ი. ჩემსას, კირილსას და „ზარის“ რედაქციის ფიზიონომიას... თქვენი ქვეაქტიურობის არ შეშინია, არც იმის, რომ თქვენ უსაბუთოდ კირილს იცავთ... მე დამცველებს არ ვსაქიროებ... ჩემის მხრით მედიატორებთან ვასახელებ: №, №№, №№№, რომელნიც თავის დროზე დანიშნულ ადგილზე გაიხლებათ, ოღონდ თქვენც თქვენის მხრით ისწრაფეთ და მაცნობეთ თქვენი პასუხი.

„ნიკოე“.

სიტყვების ახსნა.

ა

აზარარიზმი—მსხვილი მემამულენი, მიწათმფლობელები: 2/ მომხრენი ისეთ პოლიტიკურ პარტიისა, რომელიც ცდილობს მსხვილ მიწათმფლობელთათვის სასარგებლო კანონების გამოცემას.

აზარარიული საპითონი—საკითხი შესახებ იმისა, თუ როგორ მოეწყოს მშრომელ გლეხ-კაცობისათვის მიწათმფლობელობის და მიწათმოქმედების საქმე; კრებული მეცნიერულ და პრაქტიკულ აზრთა, რომელნიც შეეხება მიწათმფლობელობის და მიწათმოქმედების ფორმებსა და სასოფლო მეურნეობის განვითარების კანონებს.

აზარარიული—ის, რაც მიწათმოქმედების საკითხს ეკუთვნის.

ანტროპოლოგია—მეცნიერება ადამიანის განვითარების შესახებ.

ანტროპოლოგიური—ის, რაც ანტროპოლოგიას ეკუთვნის და მის თვისებას შეადგენს.

არისტოტელი—ძველი საბერძნეთის მეცნიერი და ფილოსოფოსი.

ანტიკური—ძველი, რაც ძველი ქვეყნის ცხოვრებას შეეხება.

ბ

გამოზარაზია—მეცნიერება, რომელსაც მიზნად აქვს დედამიწის, როგორც მსოფლიოს ნაწილის, შესწავლა.

დ

დემოგოგია—მწერლობისა ან სიტყვის საშუალებით საზოგადოების გრძობებისა და სუსტი მხარეების აღძვრა, ათამაშება რაიმე მიზნის მისაღწევად.

დემოგოგი—მეთაური, გმირი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ხალხზე, მისი გრძობებისა და სუსტი მხარეების აღძვრის საშუალებით.

დუნაბატიანი—რუსეთში მყოფ სომხების ნაციონალისტური პარტია, რომელსაც აზრად აქვს ოსმალეთში მყოფ სომხების დახმარება და განთავისუფლება, უარყოფს კლასთა ბრძოლას და სომხის პროლეტარიატს ხელს უშლის სომხის

ბურჟუაზიასთან ბრძოლის საქმეში. ბოლო დროს ამ პარტიას თანდათან სცილდება პროლეტარული ნაწილი, რის გამო პარტია სუსტდება და გადაშენების გზაზე დგება.

ვ

ვულგარული—მოუხეშავი, უბრალო, გაცვეთილი.

ვ

კონტრ-რევოლუციონიზმი—მთავრობის ან რევოლუციონერების-მიერ ძალდატანებითი ცვლილების მოხდენა, რომელსაც აზრად აქვს წაართვას ხალხს რევოლუციით მოპოებული უფლებანი.

კატამორიული—გადაქრილი, უცილობელი.
კომპონანცია დაწყობა, შეერთება სხვა-და-სხვა საგნებისა ანუ გარემოებათა.

კომპრომისი—შეთანხმება ორივე მხრის ღათობის საშუალებით.

კლიმატი—ჰავა.

ო

ოკიპატივიზმი—მიუღვამელად გადაცემა ანუ შესწავლა რაიმე საკითხის.

პ

პარლამენტარიზმი—სახელმწიფოს ისეთი წესწყობილება, როდესაც კანონმდებლობითი უფლება და მართვა გაყოფილია ეკუთვნის ხალხის წარმომადგენელთ.

პანთეიზმი—ფილოსოფიურა მიმართულება, რომელიც ბუნებასა და ღვთაებას აერთიანებს, ღვთაებას ბუნებაში ხედავს.

პანთეისტი პანთეიზმის მომხრე.
პარალელიზმი—შედარება-შესაბამება სხვა და სხვა საგნებისა და კითხვებისა.

პრემიერ-მინისტრი—პირველი მინისტრი ანუ მინისტრთა კაბინეტის მეთაური კონსტიტუციონალურ სახელმწიფოში.

ს

სოციოლოგია—მეცნიერება, რომელსაც მიზნად აქვს ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონების შესწავლა.

ტ

ტრადიციონალიზმი—განმტკიცებელი ზნე-ჩვეულება, გადმოცემა გასული ცხოვრების შესახებ.

უ

ულტრა—სიტყვის ნაწილი, რომელიც სხვა სიტყვასთან შეერთების დროს, აღიერებს უკანასკნელის მნიშვნელობას, მაგალითად, ულტრა რევოლუციონერი—უკიდურესი რევოლუციონერი.

ჰ

ჰუმანი—გერმანიის ფილოსოფოსი (1770 - 1831) შემქმნელი აბსოლიუტურ იდეალიზმისა, რომლის აზრითაც ყოველივეს დასაბამი არის იდეა, ხოლო მსოფლიო და მსოფლიოს განვითარება ამ იდეის გამოხატულებაა. უმაღლეს საფეხურს ამ პროცესისას შეადგენს კაცობრიობის ისტორიული და გონებრივი განვითარება, რომელშიაც აბსოლიუტური იდეა თავის თავსა სქნობს.

„ახალი დროების“ რედაქციის შემოსავალ-გასავალი

13 ნოემბრიდან 1-ლ იანვრამდე 1907 წ.

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი:

1) ხელის მომწერთაგან	407 მ.	12 კ.
2) აგენტებისაგან პროვინციებიდან და ქალაქებიდან	168 ,,	32 ,,
3) განცხადებისაგან	35 ,,	90 ,,
4) თბილისში ცალკე ნომრები გაიყიდა	68 ,,	75 ,,
5) ვალათ აღებულნი	862 ,,	10 ,,
	1542 მ.	19 კ.

შემოუტანელი დარჩა ცალათ:

1) აგენტებზედ პროვინციებში და სხვა და სხვა ქალაქებში	403 მ.	91 კ.
სულ შემოვიდა.	1946 მ.	10 კ.

გ ა ს ა ვ ა ლ ი:

1) ჯამაგირები რედაქციის და კანტ. მოსამს.	380 მ.	76 კ.
2) სტამბას	585 მ.	—
3) გაზეთისთვის ქალაქის.	305 ,,	30 ,,
4) ბიბლიოთეკის მოწყობა და სხვა ჰაქირი რივთები რედაქციისთვის	77 ,,	46 ,,
5) სარედაქციო და სხადასხვა მიმდინარე ხარჯ.	116 ,,	57 ,,
6) ქირა რედაქციის ბინისთვის.	60 ,,	—
7) გონორარი	16 ,,	24 ,,
	1541 მ.	33 კ.

ნომერის ჯამაგირში უნდა მიეცეს კიდევ თანამშრომლებს და სხვა რედაქც. მოსამს.

სულ გასავალი.	1709 მ.	67 კ.
კასაში დარჩა ფული	—	82 კ.
შემოუტანელი ნისია	403 მ.	91 კ.
სულ	404 მ.	63 კ.

გარდა ამისა შემოვიდა რედაქციაში შემოწერილობა 34 მან. და 39 კ., რომელიც გადაეცა დანიშნულებისამებრ.

„ახალი დროების“ რედაქციის კანტორა.

დ ა ხ მ ა რ ე ბ ა

ბატონო რედაქტორო! ჩვენ, როტშილდის ქარხნის ზღვის განყოფილებაში მომუშავე ბატროსებმა, მოვადგოვეთ თქვენი მასხა ტობოლის გუბერნიაში ს. ნოვოზიამსკი გადასახლებულ პოლიტიკურ დამნაშავეების, ოცდასამ ქართველთა სასარგებლოდ და გიგზანით თქვენ, ვინაიდან თქვენს რედაქციას უფრო უკეთესი, სწორი აღრესით შეეძლება გაგზავნა დანიშნულებისამებრ.

ამასთანავე გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გამოუცხადოთ მადლობა, ამხანაგურის თანაგრძობისათვის ზემოხსენებულ—ამხანაგ ბატროსებს.

ბათომის ამხანაგების მონდობილებით ერასტო გიორგისძე ბესელია.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ექიმი ე. მ. ჩიქოვანი

იღებს ავთოგრაფებს ყველ-დღე 12—2 საათ.—გორონცივის ძეგლის პირდაპირ, სახლი № 17.

1 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული ქართული გაზეთი

მ ნ ა თ ო ბ ი

59819
1907

გაზეთი ელირება:

თ ბ ი ლ ი ს უ ი

წლიურათ 5 მან., ექვსი თვით 3 მან., თვიურათ 50 კაპ.

ძ ა ლ ა ძ მ ა რ ე თ

წლიურათ 6 მან., ექვსი თვით 3 მ.—50 კ., თვიურათ 60 კ., ცალკე № ყველგან 3 კაპიეტი.

ფოსტია აღრეში: Тифлисъ, Мих. пр., типография Гр. Чарквიაши, такъ-же КОНТОРА газеты „МНАТОБИ“.

აქვე მიიღება ხელის მოწერა.

საგლახო გაზეთი

„ მ ი წ ა “

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისთვის.

„მიწა“ ემსახურება მიწის მუშა გლეხებს და ყოველთვის და ყოველგან დაიცავს მათ ინტერესებს.—1607 წელს „მიწა“ გამოვა იმავე შინაარსით, როგორც გამოდის დღეს. გარდა „მიწის“ ნომრებისა 1907 წელს ხელის მომწერლებს დაურთავდება ოთხი წიგნაკი „გლეხის სამკითხველო“:

1. საკლესიო კალენდარი 1907 წ. (გამოც. გლეხისა).
2. ბატონოვანა და გლეხების განთავისუფლება საქარ. თველოში. ა. ყიფშიძისა.
3. საფრანგეთის რევოლუციას ისტორია. ოლენინისა, თარგმანია.
4. სასოფლო-სამეურნეო წიგნი.

ეს წიგნები უფასოთ გაგზავნება მხოლოდ ხელის მომწერლებს: 4 თვის ხელის მომწერს გაგზავნება 1 წიგნი, 6 თვისას—2 წიგნი და ერთი წლისას—4 წიგნი.

ხელის მოწერის ფასი: ერთის წლით—3 მან., ნახევარი წლით—1 მან. 60 კაპ., თვით—1 მან.

ამერიკულ ვაზის სანკრეე

„კ ლ ო-უ გ უ რ უ ლ ი“

ქუთაისში განაგრძობს შეკვეთას დამყნოლ ამერიკულ ვაზისას 75 მანეთათ 1000 ცალი და ნიდაგის გადმოსაბრუნებლად 10—20 მან. 1000 მეტრი.

ახსნა-დარიგების პრესიკურანტი მსურველთ დაეგზავნებათ უფასოთ.

პატივისცემით ტაეზოა.

რედაქტორ-გამომცემელი დ. გიზიზაია.